



კავკასიის კვლევითი  
რესურსების ცენტრი

# მართლმსაჯულების სისტემა საქართველოში - იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების ხედვა

საბაზისო კვლევის ანგარიში

ივლისი, 2016

## მოკლე მიმოხილვა

ეს საბაზისო კვლევა მოამზადა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა (CRRC-საქართველო) პროექტისთვის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG), რომელიც დაფინანსებულია USAID-ის მიერ და ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI). კვლევა მიზნად ისახავს იმის შეფასებას, თუ როგორ ხედავენ იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები, კერძოდ, ადვოკატები, მოსამართლეები და პროკურორები მართლმსაჯულების გარკვეულ ასპექტებს. კვლევის დიზაინი მოიცავდა კვლევის რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს შემდეგი საკითხების შესაფასებლად: (1) რამდენად არის სასამართლოში ეფექტური ბალანსი მხარეებს შორის, (2) რამდენად შეუძლიათ მოქალაქეებს (მათ შორის, უმცირესობებსა და მოწყვლად ჯგუფებს) მართლმსაჯულების სისტემის მიერ შემოთავაზებული დაცვის მექანიზმებით სარგებლობა, (3) როგორია იურიდიული განათლების დონე საქართველოში და (4) როგორ ფუნქციონირებენ მართლმსაჯულების სისტემის სხვადასხვა ინსტიტუტები. კვლევის რაოდენობრივი კომპონენტის ფარგლებში გამოიკითხა 310 ადვოკატი (204 კერძო ადვოკატი, არასამთავრობო ორგანიზაციების 49 ადვოკატი და იურიდიული დახმარების სამსახურის 57 ადვოკატი), 108 მოსამართლე და 102 პროკურორი. რაც შეეხება კვლევის თვისებრივ კომპონენტს, 14 ინტერვიუ ჩატარდა 7 მოსამართლესა და 7 პროკურორთან. ამასთან, გაიმართა 4 ფოკუს ჯგუფი, რომლის მონაწილეებიც კერძო, არასამთავრობო ორგანიზაციებში მომუშავე და სახელმწიფოს იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები იყვნენ (საშუალოდ 8 მონაწილე თითოეულ ჯგუფში). კვლევის შედეგები დაჯგუფებულია ოთხ თავად, კვლევის ოთხი ძირითადი თემის შესაბამისად.

კვლევის თანახმად, პროკურორები ყველაზე მეტად გამოირჩეოდნენ დადებითი შეფასებებით მართლმსაჯულების ინსტიტუტების მიმართ. ადვოკატების (კერძოდ კი არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების) შეფასებები ნაკლებად პოზიტიური იყო პროკურორების ან მოსამართლეების შეფასებებთან შედარებით. ამასთან ერთად, სხვა იურისტებთან შედარებით, პროკურორებისა და მოსამართლეების უმრავლესობა ყველაზე დადებითად იყო განწყობილი იმ ინსტიტუტების მიმართ, რომლებსაც ისინი წარმოადგენდნენ, სასამართლოსა და პროკურატურას.

განსხვავება იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების შეფასებებს შორის განსაკუთრებით შესამჩნევია სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან დაკავშირებით. ეს გამოჩნდა მხარეთა შორის ბალანსისა და თანასწორობის შესახებ დასმული კითხვების პასუხებში: ადვოკატებმა და მოსამართლეებმა აღნიშნეს რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა, პროკურორების უმრავლესობამ კი თქვა, რომ მხარეთა უფლებებსა და შესაძლებლობებს შორის უთანასწორობას არ ჰქონდა ადგილი. მხარეთა შორის ბალანსის კრიტიკოსები, ადვოკატები და მოსამართლეები მიიჩნევენ, რომ კანონი პროკურატურას მაინც უფრო მეტ უფლებას ანიჭებს და აღნიშნული სხვაობის აღმოსაფხვრელად საჭიროა რეფორმა. მათი თქმით, სახელმწიფო რესურსები კიდევ ერთი პრობლემაა, რომელიც მხარეთა შორის უთანასწორობას განაპირობებს. პროკურორების

უმრავლესობა კი საპირისპირო მოსაზრებას აფიქსირებდა, რომ როგორც არსებული კანონმდებლობა, ისე პრაქტიკა უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას და ნებისმიერი სხვაობა განპირობებული იმით, თუ როგორ გამოიყენებენ მას მხარეები საკუთარი უნარ-ჩვევებისა და შრომისმოყვარეობის შესაბამისად.

კვლევის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიგნებაა ის, რომ, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმეტესობის აზრით, მარგინალიზებულ ჯგუფებსა და ქართული საზოგადოების ძირითად ნაწილს შორის მართლმსაჯულების სისტემაში თანასწორობა უმეტესად ან სრულად მიღწეულია. თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციებში მომუშავე ადვოკატების ნაწილმა განაცხადა, რომ მართლმსაჯულების სისტემა ძირითადად უსამართლო ან ძირითადად უთანასწორო იყო ამ თვალსაზრისით და სასამართლოში ასეთი ჯგუფების მიმართ უთანასწორო მოპყრობის რამდენიმე კონკრეტული შემთხვევაც დაასახელა. გარდა ამისა, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების შედარებით უფრო მეტი რაოდენობა მიიჩნევს, რომ საზოგადოების სხვა ჯგუფებთან შედარებით, სასამართლო და პროკურატურა უფრო უსამართლოდ და უთანასწოროდ რელიგიური უმცირესობებისა და ლგბტ თემის წარმომადგენლებს ეპყრობა. მართლმსაჯულების სხვა ინსტიტუტებისგან განსხვავებით, პოლიციის საქმიანობა ძირითადად უარყოფითად შეფასდა როგორც მარგინალიზებული, ისე არამარგინალიზებული ჯგუფების მიმართ. ეს მნიშვნელოვან პრობლემაზე მიუთითებს. იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებიც, შესაბამისად, გამოთქვამენ პოლიციის რეფორმისა და უფრო მეტი საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებას.

მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი განათლების ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, რესპონდენტების აზრით, კურსდამთავრებულთა შორის პრაქტიკული უნარების ნაკლებობა კვლავაც მნიშვნელოვანი გამოწვევაა. პოტენციურ გამოსავლად იურისტები მეტ სტაჟირებას, ასევე სამართლებრივ ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებს შორის მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას მიიჩნევენ.

მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული პროფესიის სხვადასხვა წარმომადგენლებმა სასამართლოს ხელმისაწვდომობა სხვადასხვაგვარად შეაფასეს, ძალზე ცოტამ თუ აღნიშნა, რომ სასამართლო სავსებით ხელმისაწვდომი ან სრულიად მიუწვდომელია. რაც შეეხება კერძო ადვოკატების მომსახურებას, უმრავლესობის აზრით, კერძო ადვოკატის მომსახურება ხელმისაწვდომი არ არის.

მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუტების საქმიანობის შეფასებისას ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც ხაზს უსვამს კვლევის მონაწილეთა თითქმის უმრავლესობა, სასამართლოების გადატვირთულობაა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს დროული სასამართლოს უფლებასა და გადაწყვეტილების ხარისხზე. რესპონდენტების უმრავლესობა არ განიხილავს ინფორმირებულობას და გამჭვირვალობას როგორც გამოწვევას; თუმცა, აზრთა სხვადასხვაობა იყო ინსტიტუტების საქმიანობის შეფასებასთან

დაკავშირებით. თვისებრივი ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების დროს ბევრი იურისტი ექვევქვემ აყენებდა კერძო ადვოკატების, ზოგჯერ კი მოსამართლეების პროფესიონალიზმსაც. ამასთან ერთად, რესპონდენტებმა წამოჭრეს საკითხი გარკვეული დაწესებულებების, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პასიურ როლთან დაკავშირებით.

აღნიშნული შედეგების გარდა, კვლევამ გამოავლინა განსხვავებები იურიდიული პროფესიის ცალკეული წარმომადგენლების დამოკიდებულებაში სხვადასხვა საკითხების მიმართ. როგორც ჩანს, პროკურორები უფრო დადებით შეფასებას აკეთებენ საკითხების დიდი უმრავლესობის მიმართ, გარდა ადვოკატების და ზოგ შემთხვევაში პოლიციის კვალიფიკაციისა. ისინი ძირითადად თვლიან, რომ კანონმდებლობა და პრაქტიკა სამართლიანი, თანასწორი და ეფექტიანია. მოსამართლეებმა საკმაოდ დადებითი დამოკიდებულება გამოამჟღავნეს რაოდენობრივ კვლევაში, მაგრამ შედარებით უფრო კრიტიკულები იყვნენ თვისებრივი ინტერვიუების დროს. არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატები ყველაზე კრიტიკულები იყვნენ განსაკუთრებით თვისებრივი კვლევის დროს, კერძო ადვოკატები და იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატები კი ნაკლებად (თუმცა, რამდენიმე შემთხვევაში ამ ადვოკატებმა გამოთქვეს ისეთი მოსაზრებები, რაც შეიძლება, ჩაითვალოს არასენსიტიურად უმცირესობების წინაშე არსებული გამოწვევების მიმართ).

ამრიგად, კვლევამ აჩვენა, რომ რეფორმებმა დადებითი შედეგი გამოიღო, მაგრამ გარკვეული საკითხები უფრო მეტ ყურადღებას საჭიროებს. იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევებად ასახელებენ კანონმდებლობის ხარვეზებს მხარეთა თანასწორობასთან, მართლმსაჯულების სისტემის გარკვეული მონაწილეების კვალიფიკაციასთან და სასამართლოების დატვირთვისასთან დაკავშირებით.

## სარჩევი

მოკლე მიმოხილვა .....	2
შესავალი .....	6
1. მხარეთა ბალანსი კანონმდებლობასა და პრაქტიკაში.....	7
სისხლის სამართლის კანონმდებლობა და პრაქტიკა.....	8
სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა და პრაქტიკა.....	14
მხარეთა თანასწორობა, როცა მხარეს ადვოკატი არ წარმოადგენს.....	17
2. მოქალაქეთა შესაძლებლობა, ისარგებლონ მართლმსაჯულების სისტემით.....	18
მოპყრობა.....	20
ეფექტურობა.....	24
უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა.....	26
მართლმსაჯულების ფინანსური ხელმისაწვდომობა.....	27
3. იურიდიული განათლების ხარისხის შეფასება.....	30
4. მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუტების შეფასება.....	36
ინფორმირებულობა.....	36
გამჭვირვალობა.....	37
საქმიანობის შეფასება.....	38
დასკვნა.....	44
დანართები.....	46
დანართი 1 – მეთოდოლოგია.....	46
დანართი 2 – იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების კვლევის საფუძველზე შედგენილი ინდიკატორები.....	50
დანართი 3 – გამოკითხვის სიხშირის ცხრილები.....	56
დანართი 4 – ფოკუს ჯგუფებისა და თვისებრივი ინტერვიუების მიმოხილვა.....	104

## შესავალი

2015 წლის დეკემბრიდან 2016 წლის მაისამდე პერიოდში CRRC-საქართველომ ჩაატარა საბაზისო კვლევა პროგრამისთვის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)“, რომელიც დაფინანსებულია USAID-ის მიერ და რომელსაც ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) . პროგრამის ძირითადი მიზანია მართლმსაჯულების სისტემის გაძლიერება საქართველოში და შედეგად სათანადო სამართლებრივი პროცედურების, სასამართლოს დამოუკიდებლობის და ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა.<sup>1</sup> პროგრამის მიზნების საფუძველზე კვლევა მოიცავს ოთხ თემას:

- (1) სასამართლოში მხარეებს შორის ეფექტური ბალანსი;
- (2) მართლმსაჯულების სისტემის დაცვის მექანიზმით სარგებლობის შესაძლებლობა მოქალაქეებისთვის;
- (3) სამართლებრივი განათლების ხარისხი; და
- (4) მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუტების საქმიანობა.

საბაზისო კვლევა რაოდენობრივი და თვისებრივი კომპონენტებისგან შედგებოდა. რაოდენობრივი კომპონენტი ფარგლებში ჩატარდა იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების გამოკითხვა (პირისპირ ინტერვიუ 310 ადვოკატთან და 108 მოსამართლესთან; თვითადმინისტრირებადი ონლაინ გამოკითხვა 102 პროკურორთან). თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში ჩატარდა ოთხი ფოკუს ჯგუფი ადვოკატებთან და თვისებრივი ინტერვიუ 7 მოსამართლესა და 7 პროკურორთან. PROLoG-ის ერთ-ერთი მიზნიდან გამომდინარე, რომელიც მარგინალიზებული მოქალაქეებისთვის, კერძოდ, ქალებისა და ეთნიკური, რელიგიური და სექსუალური უმცირესობებისთვის, მართლმსაჯულებასთან წვდომის გაუმჯობესებას გულისხმობს, კვლევა ფოკუსირებული იყო თბილისზე და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სამ რეგიონზე: აჭარა, ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი. მეთოდოლოგიის დეტალური აღწერა იხილეთ პირველ დანართში.

ამ ანგარიშის სტრუქტურა მიჰყვება ოთხ მთავარ თემას და ანალიზებს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგებს ოთხ შესაბამის თავში. პირველი თავის მიზანია იმის ჩვენება, თუ როგორ აფასებენ იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები სასამართლოში მხარეთა შორის ბალანსს. თავი ცალ-ცალკე განიხილავს სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ კანონმდებლობასა და პრაქტიკას, ასევე მხარეთა ბალანსის საკითხს იმ შემთხვევაში, როცა მხარეს პროფესიონალი ადვოკატი არ წარმოადგენს. მეორე თავში

<sup>1</sup> დამატებითი ინფორმაციისთვის PROLoG პროგრამის შესახებ იხ.: <http://ewmiprolog.org/en/about/PROLoG>

განხილულია იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების აღქმა იმისა, თუ რამდენად სარგებლოდ მოქალაქეები მართლმსაჯულების სისტემის დაცვით სამი ძირითადი მიმართულებით: მოპყრობა მართლმსაჯულების სხვადასხვა ინსტიტუტების მიერ, უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა და სისტემის ფინანსური ხელმისაწვდომობა. აღნიშნული ასევე მოიცავს წვდომისა და თანასწორობის საკითხს მარგინალიზებული მოქალაქეებისთვის. მესამე თავის მიზანია სამართლებრივი განათლების ხარისხის შეფასება იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების გადმოსახედიდან და მისი გაუმჯობესების გზების ძიება. მეოთხე თავში ნაჩვენებია, თუ როგორ აფასებენ იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუტებს, რას თვლიან მათ საქმიანობაში არსებულ პრობლემებად და როგორ ხედავენ მათი მოგვარების გზებს. დასკვნითი თავი მიმოიხილავს საერთო მიგნებებს და საბაზისო კვლევის საფუძველზე გამოტანილ დასკვნებს.

ამ დოკუმენტს თან ახლავს რამდენიმე დანართი: მეთოდოლოგია (დანართი 1), ინდიკატორები (დანართი 2), ადვოკატების, მოსამართლეებისა და პროკურორების რაოდენობრივი გამოკითხვის ცხრილები (დანართი 3), და თვისებრივი ნაწილის - ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების დეტალური მიმოხილვა ციტატებით (დანართი 4).

## *1. მხარეთა ბალანსი კანონმდებლობასა და პრაქტიკაში*

ძირითადი მიგნებები

- სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალთან დაკავშირებით მოსამართლეების, ადვოკატებისა და პროკურორების უმრავლესობა თვლის, რომ მხარეთა ბალანსი კანონმდებლობასა და პრაქტიკაში მსგავსია. თუმცა, უფრო მეტი ადვოკატი აღნიშნავს, რომ არც კანონმდებლობა და არც პრაქტიკა არ უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას. სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან დაკავშირებით მოსამართლეებისა და პროკურორების უმრავლესობა თვლის, რომ მხარეებს შორის ბალანსი მსგავსია როგორც კანონმდებლობაში, ისე პრაქტიკაში, მაგრამ ამ შეფასებას ადვოკატების მხოლოდ ნახევარზე ნაკლები ემხრობა.
- სისხლის სამართლის სფეროში ადვოკატებს მტკიცებულებების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენის უფრო ნაკლები შესაძლებლობა აქვთ, ვიდრე პროკურორებს, რაც, ადვოკატების აზრით, მხარეთა ბალანსს არღვევს.
- ადვოკატების უმრავლესობა თვლის, რომ სამოქალაქო სამართლის სფეროში მხარეთა შორის ბალანსი არსებობს; ერთი აღსანიშნავი გამოწვევაა მტკიცების ტვირთის დაკისრება მოსარჩელეზე დისკრიმინაციის შემთხვევებში, რაც კანონს ეწინააღმდეგება.
- ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით მოსამართლეების 84 პროცენტი სრულად ან ძირითადად დაეთანხმა მოსაზრებას, რომ მხარეთა



თანასწორობა მიღწეულია როგორც კანონმდებლობაში, ისე პრაქტიკაში. აღნიშნული საკითხი კერძო, არასამთავრობო სექტორის და იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატების 65-75 პროცენტმა სრულიად ან ძირითადად დადებითად შეაფასა. თუმცა, კერძო ადვოკატების თითქმის მეოთხედმა (24%) განაცხადა, რომ ადმინისტრაციულ საქმეებში კანონმდებლობა მხარეთა თანასწორობას ძირითადად ან სრულად ვერ უზრუნველყოფს, ასევე, ძირითადად ან საერთოდ არ არის დაცული პრაქტიკაში. ამ მოსაზრებას არასამთავრობო სექტორისა და იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატების დაახლოებით 12 პროცენტი იზიარებს;<sup>2</sup>

- ბრალდებულის მიერ წარმომადგენლის არყოლამ შეიძლება, გამოიწვიოს დისბალანსი, თუ მოსამართლე მას განსაკუთრებულად მოეპყრობა, ან თუ მოსამართლე დააბნევს ან შეცდომაში შეიყვანს ბრალდებულს.

### *სისხლის სამართლის კანონმდებლობა და პრაქტიკა*

სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში მხარეთა ეფექტური ბალანსის განხილვისას შეფასებები მკაფიოდ იყოფა. იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობა აცხადებს, რომ ბალანსი უმთავრესად მიღწეულია სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებში, მაგრამ მათი მოსაზრებები განსხვავდება სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით.


ბევრი მოსამართლე (74%), პროკურორი (94%) და იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატი (72%) აცხადებდა, რომ მხარეთა თანასწორობა სრულად ან ძირითადად უზრუნველყოფილია კანონმდებლობით სისხლის სამართლის საქმეებში. აღნიშნულის საპირისპიროდ, კერძო ადვოკატების ნახევარზე ნაკლები (48%) და არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატების დაახლოებით მხოლოდ მესამედი (35%) იზიარებდა იმავე აზრს.<sup>3</sup> მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობა უმნიშვნელოვანესი საკითხია სისხლის სამართლის სფეროში. ამ თვალსაზრისით მხარეთა შორის ბალანსის შესახებ კითხვის დასმისას რესპონდენტების ყველა ჯგუფი, პროკურორების გარდა, მიიჩნევს, რომ პროკურატურას უკეთესი შესაძლებლობები აქვს, ვიდრე დაცვის მხარეს. პროკურორების უმრავლესობა (73%) კი თვლის, რომ ორივე მხარეს მტკიცებულებების მოპოვების თანაბარი შესაძლებლობები აქვს.

<sup>2</sup> მონაცემები განსხვავდება პირველი ინდიკატორის მონაცემებისგან, რადგან: (1) ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ პასუხების გარეშე; (2) ინდიკატორის გამოთვლებში კერძო, არასამთავრობო სექტორის და იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატების მონაცემები გაერთიანებულია. ინდიკატორების დეტალური აღწერა იხილეთ მეორე დანართში.

<sup>3</sup> მონაცემები განსხვავდება პირველი ინდიკატორის მონაცემებისგან, რადგან: (1) ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ პასუხების გარეშე; (2) ინდიკატორი იყენებს არა ერთ, არამედ სამ შეკითხვას სისხლის სამართლის საქმეებში მხარეთა თანასწორობასთან დაკავშირებული დადებითი შეფასებების გამოსათვლელად როგორც კანონმდებლობაში, ისე პრაქტიკაში, დადებითი პასუხების საშუალოს გამოყვანით კითხვებზე, კანონმდებლობით არის თუ არა უზრუნველყოფილი მხარეთა თანასწორობა და აქვთ თუ არა მხარეებს ერთნაირი შესაძლებლობები მტკიცებულების მოპოვებასთან და მასთან წვდომასთან დაკავშირებით; (3) ინდიკატორის გამოთვლებში კერძო, არასამთავრობო სექტორის და იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატების მონაცემები გაერთიანებულია. ინდიკატორების დეტალური აღწერა იხილეთ მეორე დანართში.



რამდენად უზრუნველყოფს ან ვერ უზრუნველყოფს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვას? (%)



ამ საკითხის განხილვისას ფოკუს ჯგუფებში თითქმის ყველა ადვოკატი შეთანხმდა იმაზე, რომ, კანონმდებლობის თანახმად, დაცვის მხარეს გაცილებით ნაკლები უფლება და შესაძლებლობები აქვს და ეს კიდევ უფრო ნაკლებად ხორციელდება პრაქტიკაში. კანონის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვა შეჯიბრებითობის პრინციპს ემყარება, რაც გულისხმობს, რომ როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეს თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები აქვთ. და მაინც, ფოკუს ჯგუფების მსვლელობისას ბევრმა ადვოკატმა აღნიშნა ისეთი შემთხვევები, როცა კანონი თვითონ ანიჭებს ბრალდების მხარეს გაცილებით მეტ უფლებას და შესაძლებლობას, როგორცაა, მაგალითად, ჩხრეკისა და ამოღების უფლების გამოყენება მოსამართლის თანხმობის გარეშე გადაუდებელ გარემოებებში (მუხლი 120, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი).<sup>4</sup> აღნიშნული დისბალანსი უარყოფითად ფასდება ადვოკატების მიერ. ადვოკატებს არ აქვთ ვიდეოჩანაწერის მტკიცებულების სახით მოპოვების შესაძლებლობა ვიდეო კონტროლის სისტემის მფლობელებისგან, რაც ასევე აღინიშნა. მხოლოდ პროკურორს შეუძლია შუამდგომლობის წარდგენა სასამართლოსთვის ასეთი მტკიცებულების მოსაპოვებლად (მუხლი 136, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი). ამგვარად, თუ პროკურორი არ ეთანხმება დაცვის მხარეს გამოძიებისთვის მტკიცებულების მნიშვნელობასთან დაკავშირებით, არ არსებობს სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც

<sup>4</sup> იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატი, საერთო სამართალი, მუშაობის 12-წლიანი გამოცდილება, რუსთავი.

უზრუნველყოფს ასეთი მტკიცებულების წარდგენას სასამართლოში.<sup>5</sup> ეს კონკრეტული დათქმა უარყოფითად შეფასდა კვლევაში მონაწილე ერთ-ერთი მოსამართლის მიერაც, რომელმაც ეჭვს ქვეშ დააყენა კანონის კონსტიტუციურობა.<sup>6</sup>

მოსამართლეებმა და პროკურორებმა გარკვეულწილად დაასაბუთეს ასეთი შეზღუდვების საფუძველი. ერთმა მოსამართლემ ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნული მტკიცებულების მოპოვების

უფლება სპეციფიკურია და, მისი აზრით, ლოგიკურია ამ უფლების მხოლოდ ბრალდების მხარისთვის მინიჭება, რადგანაც ადვოკატებისთვის ასეთი საგამომიებო ღონისძიებების განხორციელების უფლების მინიჭება პირადი ცხოვრების უფლების დარღვევის მაღალ რისკთან იქნებოდა დაკავშირებული.<sup>7</sup> პროკურორებმა მხარი დაუჭირეს აღნიშნულს და განაცხადეს, რომ კანონის მიერ ვიდეოჩანაწერის ან სხვა მტკიცებულების მოპოვების და ჩხრეკისა და ამოღების მიზნით შუამდგომლობის წარდგენის უფლების შეზღუდვა აუცილებელია და გამართლებული, რამდენადაც ასეთი

*„ვიდეო ჩანაწერთან დაკავშირებული პრობლემა. ადვოკატს არ შეუძლია მისი მოთხოვნა სასამართლოს საშუალებითაც კი, მხოლოდ პროკურორს შეუძლია. თუ მიმართავთ ბრალმდებელს ამ მოთხოვნით და ის უარს გეტყვით, მაშინ თქვენ, როგორც დაცვის მხარე, ვერ მიიღებთ აღნიშნულ ჩანაწერს.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატი, სისხლის სამართალი, მუშაობის 6-წლიანი გამოცდილება, თბილისი)*

თვისებრივი კომპონენტის დეტალური მიმოხილვა იხილეთ მეოთხე დანართში.

პროცედურები სახელმწიფო ორგანოების მიერ უნდა განხორციელდეს და არა კერძო პირების (მაგ. ადვოკატების) მიერ.<sup>8</sup> ერთმა პროკურორმა განაცხადა, რომ ვიდეოჩანაწერი შეიცავს ინფორმაციას ადამიანების პირადი ცხოვრების შესახებ და ასეთი ინფორმაცია არ უნდა იქნეს შეგროვებული ადვოკატების ან არასახელმწიფო სექტორის წარმომადგენლების მიერ.<sup>9</sup> თუმცა, ასევე უნდა აღნიშნოს, რომ ერთმა პროკურორმა არალოგიკურად მიიჩნია მხოლოდ ბრალდების მხარისთვის გარკვეული მტკიცებულებების მოპოვების უფლების მინიჭება (მაგ. ვიდეოჩანაწერის), რადგან ამ შემთხვევაში დაცვის მხარეს ბრალდების მხარისთვის მტკიცებულების მოპოვების მოთხოვნით მიმართვა უწევს, რაც „ქმნის გარკვეულ დისკომფორტს.“<sup>10</sup>

<sup>5</sup> იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატი, სისხლის სამართალი, მუშაობის 6-წლიანი გამოცდილება, თბილისი.

<sup>6</sup> მოსამართლე, სისხლის და სამოქალაქო სამართალი, მუშაობის 8-წლიანი გამოცდილება, ბათუმი. აღსანიშნავია რომ 136-ე მუხლთან დაკავშირებით ორი საკონსტიტუციო სარჩელია წარდგენილი: N650 (2015 წლის 28 მაისს) და N699 (2015 წლის 8 დეკემბერს). ამ მოთხოვნებთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

<sup>7</sup> მოსამართლე, სისხლის სამართალი, მუშაობის 1-წლიანი გამოცდილება, თბილისი.


<sup>8</sup> პროკურორი, მუშაობის 3-წლიანი გამოცდილება, ბათუმი; პროკურორი, მუშაობის 13-წლიანი გამოცდილება, ბათუმი; პროკურორი, მუშაობის 17-წლიანი გამოცდილება, ახალციხე.

<sup>9</sup> პროკურორი, მუშაობის 13-წლიანი გამოცდილება, ბათუმი.

<sup>10</sup> პროკურორი, მუშაობის 3-წლიანი გამოცდილება, რუსთავი.

თქვენი გამოცდილებით, ამჟამად საქართველოში სისხლის სამართლის საქმეებზე რამდენად თანაბარი შესაძლებლობა აქვთ ბრალდებისა და დაცვის მხარეებს, მოიპოვონ მტკიცებულებები? (%)

■ ბრალდების მხარეს მეტი შესაძლებლობა აქვს ■ ორივე მხარეს თანაბარი შესაძლებლობა აქვს  
 ■ დაცვის მხარეს მეტი შესაძლებლობა აქვს ■ არ ვიცი  
 ■ უარი პასუხზე



ადვოკატებმა ასევე აღნიშნეს, რომ პროკურატურა, როგორც სახელმწიფო ინსტიტუციის ნაწილი, უკეთეს მდგომარეობაშია სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებისა და კერძო პირებისგან მტკიცებულების მოპოვების თვალსაზრისით. პრაქტიკაში დაცვის მხარეს ნაკლებად შეუძლია მტკიცებულებების შეგროვება სახელმწიფო დაწესებულებებისგან განსაკუთრებით შეზღუდული დროის პირობებში, რაც გავლენას ახდენს სასამართლო პროცესზე მტკიცებულების წარდგენის შესაძლებლობაზე. გარკვეული ტიპის მტკიცებულებების შეგროვება საკმაოდ ხარჯიანია, ამდენად პრობლემა ასევე წარმოიქმნება, როცა ბრალდებულს შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობები აქვს.<sup>11</sup> ზოგიერთი ადვოკატი ასევე აცხადებს, რომ კანონი ქმნის გარკვეულ მექანიზმს, რაც დაცვის მხარისთვის ხელმისაწვდომი არ არის: ესაა სანქციები პროკურატურის საქმიანობის შეფერხებისთვის (მუხლი 364, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი - სამართალწარმოებაში ან საგამომძიებო საქმიანობაში ჩარევა). აღნიშნული კანონი პროკურატურას აძლევს საშუალებას, ნებისმიერ მხარეს მოსთხოვოს მოთხოვნების აღსრულება, რაც დაცვის მხარეს არ გააჩნია.<sup>12</sup>

ბრალდებისა და დაცვის მხარეების არათანაბარი უფლებები აღინიშნა როგორც მართლმსაჯულების სისტემის საერთო პრობლემა ადვოკატებთან ფოკუს ჯგუფების დროს.

<sup>11</sup> კერძო ადვოკატი, საერთო სამართალი, მუშაობის 26-წლიანი გამოცდილება, რუსთავი; საია-ს ადვოკატი, სამოქალაქო სამართალი, მუშაობის 9-წლიანი გამოცდილება, რუსთავი.

<sup>12</sup> იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატი, საერთო სამართალი, მუშაობის 12-წლიანი გამოცდილება, რუსთავი.

ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ პროკურორისა და გამომძიებლის ერთ მხარეს ყოფნა შეიძლება, პრობლემას ქმნიდეს მართლმსაჯულების სისტემისთვის, რადგან საგამომძიებო პროცესი მთლიანად ბრალდების პოზიციის მომზადებაზეა ფოკუსირებული. კანონის თანახმად, საგამომძიებო ღონისძიებების განხორციელებისას იგნორირებული არ უნდა იყოს ნებისმიერი გამამართლებელი მტკიცებულება. პროკურატურის მოვალეობაა ყველა ასეთი მტკიცებულების წარდგენა დაცვის მხარისთვის (მუხლი 83). მიუხედავად ამისა, ადვოკატებმა განაცხადეს, რომ რეალობაში პროკურატურა ხშირად ცდილობს ისეთი მტკიცებულების დამალვას, რომელიც ბრალდების პოზიციას შეიძლება, ასუსტებდეს.<sup>13</sup> ბრალდებისთვის ხელმისაწვდომ სამართლებრივ შესაძლებლობებთან ერთად, ზოგიერთმა ადვოკატმა აღნიშნა, რომ პრაქტიკაში ორი მხარის მიერ წარმოდგენილი მსგავსი მტკიცებულებების მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვანია და მოსამართლეები უფრო მეტად ბრალდების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებას ენდობიან.<sup>14</sup> მეორე მხრივ, პროკურორებმა განაცხადეს, რომ ისინი დაინტერესებულნი იყვნენ სრულყოფილი მოკვლევით; ამგვარად, თუ გამომძიებლისთვის ცნობილია მტკიცებულება, რომელსაც შეუძლია დადებითი გავლენა იქონიოს დაცვის მხარის პოზიციაზე, მისი მოპოვება ხდება დაცვის მხარის მოთხოვნის გარეშე.<sup>15</sup>

თვისებრივი ინტერვიუების დროს პროკურორებმა განაცხადეს, რომ როგორც კანონი, ისე არსებული პრაქტიკა მხარეებს აძლევს ერთნაირ უფლებებსა და შესაძლებლობებს. როგორც ერთმა პროკურორმა აღნიშნა, შესაძლებლობები ყველასთვის ერთნაირია.<sup>16</sup> მეორე პროკურორმა ხაზი გაუსვა, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი სისხლის სამართალში ადვოკატებს აძლევს შესაძლებლობას, „წარმოაჩინონ საკუთარი სახე და უნარები“. მათი თქმით, საქმის შედეგი მთლიანად დამოკიდებულია მხარეების პროფესიონალიზმსა და მონდომებაზე (აღნიშნულის შესახებ განცხადება ასევე კეთდება მოსამართლეების მიერ ყოველი

*„ნებისმიერ შემთხვევაში ერთ მხარეს დგას სახელმწიფო ორგანო, პროკურატურა, რომელსაც უამრავი რესურსი აქვს საგამომძიებო ღონისძიებების განსახორციელებლად. მაშინაც კი, თუ მეორე მხარე აღჭურვილი იქნება გარკვეული უფლებებით, მას მაინც ნაკლები შესაძლებლობები და ნაკლები რესურსი ექნება, როგორც ადამიანური ისე სხვა, იმავე მასშტაბის მოკვლევის განსახორციელებლად და მტკიცებულებების მოსაპოვებლად.“ (მოსამართლე სისხლის სამართალი, მუშაობის 1-წლიანი გამოცდილება, თბილისი)*

თვისებრივი კომპონენტის დეტალური მიმოხილვა იხილეთ მეოთხე დანართში.

<sup>13</sup> იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატი, საერთო სამართალი, მუშაობის 12-წლიანი გამოცდილება, რუსთავი; კერძო ადვოკატი, სისხლის სამართალი, მუშაობის 8-წლიანი გამოცდილება, ბათუმი.

<sup>14</sup> კერძო ადვოკატი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 2-წლიანი გამოცდილება, ახალციხე; კერძო ადვოკატი, იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ დაქირავებული ადვოკატი, ყოფილი პროკურორი, სისხლის სამართალი, მუშაობის 37-წლიანი გამოცდილება, ახალციხე.

<sup>15</sup> პროკურორი, მუშაობის 17-წლიანი გამოცდილება, ახალციხე; პროკურორი, მუშაობის 13-წლიანი გამოცდილება, ბათუმი.

<sup>16</sup> პროკურორი, მუშაობის 17-წლიანი გამოცდილება, ახალციხე.

სასამართლო პროცესის გახსნისას).<sup>17</sup> ერთ-ერთმა პროკურორმა ისიც კი განაცხადა, რომ სასამართლო უფრო მეტად დაცვის მხარეს იხრება, რაც გამამართლებელი გადაწყვეტილებების მზარდი მაჩვენებლით დასტურდება.<sup>18</sup>

რამდენიმე ადვოკატმა უარყოფითად შეაფასა „დაცვის მხარის საგამონაკლისო შუამდგომლობის დაყენების უფლების“ ამოღება (მუხლი 84) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან. 84-ე მუხლი ითვალისწინებდა დაცვის მხარის მიერ ისეთი მტკიცებულების წარუდგენლობას (და ის არ ჩაითვლებოდა დაუშვებლად გვიან ეტაპზე), რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა დაცვისთვის.<sup>19</sup> მეორეს მხრივ, 84-ე მუხლის გაუქმება დადებითად შეფასდა ერთ-ერთი პროკურორის მიერ, რომელმაც განაცხადა, რომ ადვოკატები ზოგჯერ ბოროტად იყენებდნენ ამ უფლებას, კერძოდ, მალავდნენ მტკიცებულებას, რომელიც უზრუნველყოფდა ალიბის და ადრეულ ეტაპზე რომ ყოფილიყო წარდგენილი, შესაძლოა, პროკურატურას არც წაეყენებენა ბრალი პირისთვის.<sup>20</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ადვოკატებმა დაასახელეს რამდენიმე გზა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაგალითად, კერძო დეტექტივის ინსტიტუტის დაარსება,<sup>21</sup> გამოძიების გამოყოფა პროკურატურისგან,<sup>22</sup> და დაცვის მხარის აღჭურვა აღსრულების იმავე უფლებებით მტკიცებულებების შეგროვებასთან დაკავშირებით.<sup>23</sup>

ადვოკატთა ნაწილმა ასევე განიხილა მსხვერპლთა უფლებები და განაცხადა, რომ მათი უფლებები უგულვებელყოფილია და არ არის გათვალისწინებული პროცესში.<sup>24</sup> უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართალწარმოებაში მსხვერპლს მხარის სტატუსი არ გააჩნია, რის გამოც შეზღუდული აქვს პროცედურული უფლებები.

სისხლის სამართლის საქმეებში მხარეთა შორის ბალანსის შეფასებისას, მოსამართლეთა უმრავლესობა აცხადებდა, რომ კანონი თანაბარ შესაძლებლობებს უზრუნველყოფს, მაგრამ დაცვის მხარე მათ ყოველთვის არ იყენებს.<sup>25</sup> თუმცა, ერთ-ერთმა მოსამართლემ განაცხადა,

<sup>17</sup> პროკურორი, მუშაობის 13-წლიანი გამოცდილება, ბათუმი.

<sup>18</sup> პროკურორი, მუშაობის 9-წლიანი გამოცდილება, რუსთავი.

<sup>19</sup> კერძო ადვოკატი, სისხლის სამართალი, მუშაობის 8-წლიანი გამოცდილება, ბათუმი; კერძო ადვოკატი, საერთო სამართალი, ყოფილი პროკურორი, ყოფილი მოსამართლე, მუშაობის 32-წლიანი გამოცდილება, ბათუმი; საია-ს ადვოკატი, სისხლის სამართალი, მუშაობის 1-წლიანი გამოცდილება, ბათუმი. ბათუმში ერთმა მოსამართლემ (სისხლის და სამოქალაქო სამართალი, მუშაობის 8-წლიანი გამოცდილება) აღნიშნა, რომ როცა კანონმდებლებმა 84-ე მუხლი ამოიღეს, რამე ადეკვატური საპირწონე მექანიზმი უნდა შემოეღოთ. ეს კი არ მომხდარა კანონში გარკვეული ხარვეზების გამო.

<sup>20</sup> პროკურორი, მუშაობის 3-წლიანი გამოცდილება, ბათუმი.

<sup>21</sup> კერძო ადვოკატი, საერთო სამართალი, მუშაობის 15-წლიანი გამოცდილება, ბათუმი.

<sup>22</sup> კერძო ადვოკატი, საერთო სამართალი, მუშაობის 15-წლიანი გამოცდილება, ბათუმი.

<sup>23</sup> იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატი, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 6-წლიანი გამოცდილება, ახალციხე.

<sup>24</sup> კერძო ადვოკატი, ყოფილი მოსამართლე, საერთო სამართალი, მუშაობის 33-წლიანი გამოცდილება, ახალციხე; კერძო ადვოკატი, საერთო სამართალი, მუშაობის 15-წლიანი გამოცდილება, რუსთავი.

<sup>25</sup> მოსამართლე, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 10-წლიანი გამოცდილება, რუსთავი; მოსამართლე, სისხლის სამართალი, მუშაობის 1-წლიანი გამოცდილება, თბილისი; მოსამართლე, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 15-წლიანი გამოცდილება, რუსთავი; მოსამართლე,

რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობა მხარეთა ბალანსს სრულად არ უზრუნველყოფს, განსაკუთრებით პროცედურასთან დაკავშირებით, რომელიც მანამ უნდა განხორციელდეს, სანამ პირს დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით ბრალი წარედგინება (ის არ განიხილება ბრალდებულად და ამდენად არ აქვს მინიჭებული დაცვის მხარის უფლებები ან მტკიცებულების მოპოვების უფლება).<sup>26</sup>

**ინდიკატორი 1: სასამართლოში მხარეებს შორის ეფექტური ბალანსი, სისხლის სამართალი (დადებითი შეფასებების პროცენტული მაჩვენებელი, პასუხების მოცემულია ფრჩხილებში)**

მოსამართლეებისა და პროკურორების უმრავლესობა დადებით შეფასებას აძლევს მხარეთა თანასწორობას სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში, მაგრამ ადვოკატების უმრავლესობა მათ არ ეთანხმება - ადვოკატების მხოლოდ ნახევარზე ნაკლები აფასებს დადებითად მხარეთა თანასწორობას სისხლის სამართლის კანონმდებლობაში და პრაქტიკაში.

	მოსამართლეები	ადვოკატები	პროკურორები
სისხლის სამართლის კანონმდებლობა უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას + კითხვები მტკიცებულებების შესახებ	75% (86)	46% (276)	86% (101)
მხარეთა თანასწორობა დაცულია პრაქტიკაში + კითხვები მტკიცებულებების შესახებ	75% (86)	46% (267)	85% (101)

\* ინდიკატორების დეტალური აღწერა იხილეთ მეორე დანართში.

\*\* ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ პასუხების გარეშე.

\*\*\* ინდიკატორის გამოთვლებში ინდიკატორის გამოთვლებში კერძო, არასამთავრობო სექტორის და იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატების მონაცემები გაერთიანებულია.

**სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა და პრაქტიკა**

როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის თანახმად, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა და პრაქტიკა შესაძლებელს ხდის მხარეებს შორის სამართლიან

სამოქალაქო სამართალი, მუშაობის 7-წლიანი გამოცდილება, ბათუმი. ჩამოთვლილი მოსამართლეებიდან ორმა უკანასკნელმა ზოგადი კანონმდებლობა შეაფასა, რადგან სისხლის სამართალი მათი სპეციალობა არ იყო.

<sup>26</sup> მოსამართლე, სისხლის და სამოქალაქო სამართალი, მუშაობის 8-წლიანი გამოცდილება, ბათუმი.

ბალანსს. მოსამართლეების თითქმის 90 პროცენტმა აღნიშნა, რომ მხარეთა თანასწორობა სრულად ან ძირითადად უზრუნველყოფილია სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით და დაცულია პრაქტიკაში. არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატებს (კვლევაში მონაწილეთაგან ყველაზე კრიტიკულად განწყობილი ჯგუფი) შორისაც კი დაახლოებით 85 პროცენტი მიიჩნევს, რომ მხარეთა თანასწორობა სრულიად ან ძირითადად დაცულია სამოქალაქო კანონმდებლობასა და პრაქტიკაში. ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში მსგავსი სურათია, მაგრამ მაჩვენებლები ოდნავ დაბალია: მოსამართლეების 84% სრულად ან ძირითადად ეთანხმება მოსაზრებას, რომ მხარეთა თანასწორობა უზრუნველყოფილია ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით და დაცულია პრაქტიკაში. კერძო, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების 65-75% სრულად ან ძირითადად დადებით შეფასებას აკეთებს. მიუხედავად ამისა, ადვოკატების დაახლოებით მეოთხედი (24%) აცხადებს, რომ მხარეთა თანასწორობა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში ძირითადად ან საერთოდ არ არის უზრუნველყოფილი და იგივე მოსაზრებას არასამთავრობო ორგანიზაციებისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების 12% იზიარებს.<sup>27</sup> ფოკუს ჯგუფზე ერთმა კერძო ადვოკატმა განაცხადა, რომ სასამართლო პროცესებში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანოები აღჭურვილნი არიან გაცილებით მეტი შესაძლებლობითა და სასამართლოს მხრიდან მეტი მხარდაჭერით, რასაც, თავის მხრივ, მხარეებს შორის გარკვეული დისბალანსი მოჰყვება.<sup>28</sup> ადვოკატებმა ასევე აღნიშნეს, რომ ადმინისტრაციულ სამართალში ინკვიზიციური სისტემა გამოიყენება, რაც სასამართლოს უფრო მეტად აქტიურობის საშუალებას აძლევს; თუმცა, არ ითვლება, რომ ის უარყოფით გავლენას ახდენს თანასწორობის პრინციპზე. ზოგიერთმა ადვოკატმა ხაზიც კი გაუსვა იმას, რომ სათანადოდ გამოყენების შემთხვევაში ინკვიზიციურობის პრინციპი დადებითი ასპექტია, თუკი ის სახელმწიფოს წარმომადგენელი მხარის დასახმარებლად არ გამოიყენება.<sup>29</sup>

მოსამართლეებმა განაცხადეს, რომ სამოქალაქო საქმეებში როგორც კანონი, ისე პრაქტიკა უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას. თუმცა, ზოგმა მოსამართლემ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ საქმეებს, რომლებიც ინკვიზიციურ სისტემას მიჰყვება და არა სისხლის სამართლის საქმეებში გამოყენებულ შეჯიბრებითობის სისტემას, განსხვავებული მახასიათებელი აქვს, რომელიც ძირითადად არათანასწორ მხარეებს შორის ბალანსის უზრუნველსაყოფადაა განკუთვნილი.<sup>30</sup>

<sup>27</sup> ეს მონაცემები განსხვავდება პირველ ინდიკატორში წარმოდგენილი მონაცემებისგან, რადგან: (1) ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ პასუხების გარეშე; (2) ინდიკატორის გამოთვლებში კერძო, არასამთავრობო სექტორის და იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატების მონაცემები გაერთიანებულია. ინდიკატორების დეტალური აღწერა იხილეთ მეორე დანართში.

<sup>28</sup> კერძო ადვოკატი, საერთო სამართალი, მუშაობის 26-წლიანი გამოცდილება, რუსთავი.

<sup>29</sup> კერძო ადვოკატი, ლექტორი, კერძო და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 30-წლიანი გამოცდილება, თბილისი.

<sup>30</sup> მოსამართლე, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 10-წლიანი გამოცდილება, რუსთავი.



პრაქტიკოსმა ადვოკატებმა აღნიშნეს დისკრიმინაციის საჩივრებთან დაკავშირებული საქმეები, რომლებსაც საჩივარში მითითებულ პრობლემებთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი მოსარჩელისგან მოპასუხეზე გადააქვს (ეს ეწინააღმდეგება ტრადიციულ მიდგომას სამოქალაქო სამართალში, სადაც საჩივარზე მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აკისრია და მოპასუხეს იგი მხოლოდ შესაგებელის შემთხვევაში ეკისრება). ადვოკატებმა თქვეს, რომ დისკრიმინაციის საქმეებში სასამართლოები ამ კანონს ყოველთვის არ იცავენ, იყენებენ „ტრადიციულ“ მიდგომას და მტკიცების ტვირთს მოპასუხის ნაცვლად მოსარჩელეს აკისრებენ.<sup>31</sup>

**ინდიკატორი 1: სასამართლოში მხარეებს შორის ეფექტური ბალანსი (სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი)**

**(დადებითი შეფასებების პროცენტული მაჩვენებელი, პასუხების რაოდენობა მოცემულია ფრჩხილებში)**

სასამართლო პროცესის ყველა მონაწილე თანხმდება, რომ მხარეთა ბალანსი სამოქალაქო სამართალში უზრუნველყოფილია კანონმდებლობით და დაცულია პრაქტიკაში. მოსამართლეებისა და პროკურორების აბსოლუტურ უმრავლესობას ერთი და იგივე მოსაზრება აქვს ადმინისტრაციულ სამართალთან დაკავშირებით. მათგან განსხვავებით, ადვოკატებმა ნაკლებად დადებითი შეფასება მისცეს მხარეთა თანასწორობას ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში.

	მოსამართლეები	ადვოკატები	პროკურორები
სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობა უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას	100% (101)	93% (279)	100% * (53)
მხარეთა თანასწორობა დაცულია სამოქალაქო საქმეების სასამართლო პროცესებზე	100% (101)	92% (270)	100% * (48)
ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას	97% (94)	78% (277)	96%* (51)
მხარეთა თანასწორობა დაცულია ადმინისტრაციული სამართლის სასამართლო პროცესებზე	99% (92)	78% (270)	94%* (50)

\* რესპონდენტთა წილი, რომლებმაც უპასუხეს „არ ვიცი“ ან თავი შეიკავეს პასუხის გაცემისგან, 20%-ს აღემატება.

\*\* ინდიკატორების დეტალური აღწერა იხილეთ მეორე დანართში.

<sup>31</sup> ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 3-წლიანი გამოცდილება, თბილისი.

*\*\*\* ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ პასუხების გარეშე.*

*\*\*\*\* ინდიკატორის გამოთვლებში ინდიკატორის გამოთვლებში კერძო, არასამთავრობო სექტორის და იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატების მონაცემები გაერთიანებულია.*

### *მხარეთა თანასწორობა, როცა მხარეს ადვოკატი არ წარმოადგენს*

ადვოკატების ნაწილმა განაცხადა, რომ როცა ბრალდებულს სასამართლოში პროფესიონალი ადვოკატი არ წარმოადგენს, მოსამართლე მას ურჩევს, რომ აიყვანოს ადვოკატი. თუ ბრალდებული მაინც ამჯობინებს, რომ არ დაიქირავოს ადვოკატი, მოსამართლე ზოგჯერ დამატებით განმარტებებს აძლევს მას.<sup>32</sup> ადვოკატების უმრავლესობა არ თვლის, რომ ეს განმარტებები პროცესზე გავლენას ახდენს, რამდენადაც იურიდიული განათლების არმქონე პირს შეიძლება მაინც არ ესმოდეს საკითხი. თუმცა, იმ შემთხვევებში, როცა მოსამართლეები არაოფიციალურად (გამორთული მიკროფონის პირობებში) აკეთებენ განმარტებას, შეიძლება, წარმოიშვას პრობლემები, თუ მოსამართლე მარტივი განმარტების მიღმა გააკეთებს კომენტარს.<sup>33</sup> სხვა პრაქტიკოსებმა აღნიშნეს, რომ მოსამართლეები პირველ რიგში ადვოკატის აყვანას ურჩევენ ფიზიკურ პირებს,<sup>34</sup> მაგრამ შემდეგ ან უარს ამბობენ სამართლებრივი ტერმინების განმარტებაზე, ან ზოგ შემთხვევაში შეცდომაშიც კი შეჰყავთ პირები, რომლებსაც იურიდიული ცოდნა არ აქვთ (ერთ შემთხვევაში იურიდიული წარმომადგენლის არმქონე პირს სასამართლომ სარჩელის გატანა მოსთხოვა და რადგანაც მხარეს არ ესმოდა სამართლებრივი პროცედურები, იგი ასეც მოიქცა).<sup>35</sup> მოსამართლეების ნაწილმა აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევებში სიტუაციის დაბალანსებას ცდილობდა ადმინისტრაციულ და ზოგიერთ სამოქალაქო საქმეში მტკიცებულებების შეგროვებაში აქტიური მონაწილეობის მიღებით.<sup>36</sup>

მოსამართლეების უმრავლესობამ განაცხადა, რომ ადვოკატის არყოფნა პროცესის განმავლობაში არაკომფორტულია მათთვის; ბათუმში ერთმა მოსამართლემ თქვა, რომ სისხლის სამართლის პროცესებზე ის ცდილობს, რჩევით დაეხმაროს მხარეს, რომელსაც ადვოკატის დაქირავება ფინანსური მიზეზით არ შეუძლია, რომ მან საპროცესო გარიგების

<sup>32</sup> კერძო ადვოკატი, საერთო სამართალი, მუშაობის 17-წლიანი გამოცდილება, რუსთავი.

<sup>33</sup> კერძო ადვოკატი, ყოფილი პროკურორი, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 34-წლიანი გამოცდილება, თბილისი; საია-ს ადვოკატი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 2-წლიანი გამოცდილება.

<sup>34</sup> კერძო ადვოკატი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 2-წლიანი გამოცდილება, ახალციხე; კერძო ადვოკატი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 2-წლიანი გამოცდილება, ახალციხე.

<sup>35</sup> კერძო ადვოკატი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 2-წლიანი გამოცდილება, ახალციხე; კერძო ადვოკატი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 2-წლიანი გამოცდილება, ახალციხე.

<sup>36</sup> მოსამართლე, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 10-წლიანი გამოცდილება, რუსთავი; მოსამართლე, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 15-წლიანი გამოცდილება, რუსთავი.

შესაძლებლობა განიხილოს (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ასეთ საქმეებზე სავალდებულო წესით ხდება დაცვის ადვოკატის დანიშვნა).<sup>37</sup> მსგავსი მიდგომა ერთ-ერთმა პროკურორმაც ახსენა. მისი თქმით, როდესაც ის ხედავს, რომ პირს ადვოკატი სჭირდება, მაგრამ მისი დაქირავება არ შეუძლია, პროკურატურა ურჩევს, განიხილოს საპროცესო შეთანხმების შესაძლებლობა.<sup>38</sup> თითქმის ყველა პროკურორმა განაცხადა, რომ როცა მხარეს იურიდიული წარმომადგენელი არ ჰყავს, სასამართლოს უფრო მეტი დრო სჭირდება პროცედურებისა და სხვა საკითხების განმარტებისთვის. ბათუმში ერთმა პროკურორმა აღნიშნა, რომ სამართლებრივი აკრძალვის მიუხედავად, სასამართლომ მიიღო მტკიცებულება ბრალდებულისგან, რომელსაც ადვოკატი არ ჰყავდა და განაცხადა კიდეც, რომ რამდენადაც მხარეს წარმომადგენელი არ ჰყავდა, მას არ შეიძლებოდა, სრულად სცოდნოდა პროცედურული წესები.<sup>39</sup>

მოსამართლეებმა თითქმის ერთხმად აღნიშნეს, რომ ამჯობინებდნენ, მხარეები ადვოკატებით ყოფილიყვნენ წარმოდგენილი, რადგან აღნიშნული პროცესს ამარტივებს და ისინი ყოველთვის ურჩევდნენ მხარეებს ადვოკატის აყვანას, როცა ეს შესაძლებელი იყო.<sup>40</sup> ზოგმა პროკურორმა ასევე განაცხადა, რომ ერჩივნა, ბრალდებულს წარმომადგენელი ჰყოლოდა.<sup>41</sup> პროკურორმა ახალციხიდან ხაზი გაუსვა, რომ თუ მხარეს კანონით უზრუნველყოფილი სავალდებულო დამცველი არ ჰყავდა, ეს მიუთითებდა, რომ საქმე საკმაოდ მარტივი იყო და მხარეს ადვოკატის გარეშე შეეძლო საკუთარი თავის დაცვა. თუმცა, თუ ისინი ხედავდნენ, რომ პირს სურდა ადვოკატის ყოლა, მაგრამ თავს არიდებდა მის დაქირავებას ფინანსური მდგომარეობის გამო, ისინი განუმარტავდნენ მას, რომ სახელმწიფოს შეეძლო მათთვის ადვოკატის უფასოდ გამოყოფა.<sup>42</sup> მოსამართლემ ახალციხიდან იურიდიული წარმომადგენლის გარეშე მყოფი მხარე „დაუცველ ობოლსაც“ კი შეადარა.<sup>43</sup>

## *2. მოქალაქეთა შესაძლებლობა, ისარგებლონ მართლმსაჯულების სისტემით*

თვისებრივმა და რაოდენობრივმა კვლევამ რამდენიმე საინტერესო ტენდენცია აჩვენა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად სარგებლობენ მოქალაქეები მართლმსაჯულების სისტემის დაცვით, როგორ ეპყრობიან მართლმსაჯულების ინსტიტუტები მათ, რამდენად ეფექტურია ეს ინსტიტუტები, რამდენად ხდება უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა და ფინანსურად რამდენად ხელმისაწვდომია მართლმსაჯულება. კვლევა ასევე აკვირდებოდა,

<sup>37</sup> მოსამართლე, სისხლის და სამოქალაქო სამართალი, მუშაობის 8-წლიანი გამოცდილება, ბათუმი.

<sup>38</sup> პროკურორი, მუშაობის 3-წლიანი გამოცდილება, ბათუმი. პროკურორი, მუშაობის 3-წლიანი გამოცდილება, ბათუმი.

<sup>39</sup> პროკურორი, მუშაობის 3-წლიანი გამოცდილება, ბათუმი.

<sup>40</sup> მოსამართლე, სისხლის და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 4-წლიანი გამოცდილება, ახალციხე.

<sup>41</sup> პროკურორი, მუშაობის 13-წლიანი გამოცდილება, ბათუმი; პროკურორი, მუშაობის 17-წლიანი გამოცდილება, ახალციხე.

<sup>42</sup> პროკურორი, მუშაობის 17-წლიანი გამოცდილება, ახალციხე.

<sup>43</sup> მოსამართლე, სისხლის და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 32-წლიანი გამოცდილება, ახალციხე.

იცვლებოდა თუ არა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული შედეგები იმის მიხედვით, მოქალაქეები მარგინალიზებულ ჯგუფებს მიეკუთვნებოდნენ თუ არა.

ძირითადი მიგნებები:


- მოსამართლეებისა და პროკურორების დიდი უმრავლესობა დადებითად აფასებს მოქალაქეთა შესაძლებლობას, ისარგებლოს მართლმსაჯულების სისტემის მიერ შემოთავაზებული დაცვის მექანიზმით. მოსამართლეებისა და პროკურორების კიდევ უფრო დიდი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მარგინალიზებული ჯგუფების მიმართ მოპყრობა თანასწორია და უდანაშაულობის პრეზუმფცია დაცულია სასამართლოების მიერ. ადვოკატების უმრავლესობა ასევე დადებითად აფასებს სასამართლოს მიერ უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვას. მაგრამ ადვოკატების მხოლოდ ნახევარზე ოდნავ მეტი აფასებს დადებითად მართლმსაჯულების სისტემით სარგებლობის შესაძლებლობას; ეს იმიტომ, რომ დაბალი შეფასება მიენიჭა ზოგი მარგინალიზებული ჯგუფის მიმართ მოპყრობას და მართლმსაჯულების ფინანსურ ხელმისაწვდომობას. მართლმსაჯულების ფინანსური ხელმისაწვდომობა სასამართლო პროცესის ყველა მონაწილის მიერ ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ საკითხად განიხილება.
- არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატებს მიაჩნიათ, რომ ლგბტ თემი და რელიგიური უმცირესობები იმ ჯგუფებს წარმოადგენენ, რომელთა მიმართ მოპყრობა ყველაზე ნაკლებად სამართლიანი და თანასწორია სასამართლოსა და პროკურატურის მხრიდან; თუმცა, იურისტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ყველა ჯგუფის მიმართ დამოკიდებულება ძირითადად ან სრულად სამართლიანი ან თანასწორია.
- იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენლებთან შედარებით, არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატები მიიჩნევენ, რომ სხვადასხვა ჯგუფებისადმი მოპყრობა ნაკლებად სამართლიანი ან თანასწორია ტრადიციულად პრივილეგირებული ჯგუფების შემთხვევაშიც კი (მამაკაცები, ეთნიკური ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები), რაც მიუთითებს იმაზე, რომ მათი ზოგადი შეხედულებაა ასეთი, რომ სასამართლოები და პროკურორები სამართლიანი არ არიან.
- პოლიციას არაეფექტურად თვლის იურიდიული პროფესიის ბევრი წარმომადგენელი. ზოგი პროკურორი მის რეფორმასაც კი მოითხოვს.
- როგორც მოსამართლეები, ასევე ადვოკატები აღნიშნავენ, რომ მოსამართლეთა მიერ განსახილველი საქმეების დიდი მოცულობა აფერხებს სასამართლოს ეფექტურობას.
- იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების დაახლოებით 80% მიიჩნევს, რომ სასამართლო ძირითადად ან სრულად იცავს ყველა ჯგუფის უდანაშაულობის პრეზუმფციას.
- იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობა თვლის, რომ მართლმსაჯულების სისტემის გარკვეული ასპექტები, მაგალითად, კერძო ადვოკატის დაქირავება ან პროცედურული ხარჯების გადახდა, ფინანსურად ხელმისაწვდომი არ არის.

## მოპყრობა

სხვადასხვა უმცირესობისა და უმრავლესობის ჯგუფების მიმართ სასამართლოს, პროკურატურის ან იურიდიული დახმარების სახელმწიფო სამსახურის მოპყრობის შესახებ კითხვებზე იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებმა განსხვავებულად უპასუხეს. მათმა უმრავლესობამ განაცხადა, რომ სასამართლოს თითოეულ ჯგუფს ძირითადად ან სრულად სამართლიანად ეპყრობა. თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების დაახლოებით ერთი მესამედი (33%) აცხადებდა, რომ ლგბტ თემის წარმომადგენლების მიმართ მოპყრობა სასამართლოს მხრიდან ძირითადად ან სრულად უსამართლოა. აღნიშნული ადვოკატების თითქმის მეოთხედი აღნიშნავდა, რომ რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს სასამართლო ძირითადად ან სრულად უსამართლოდ ეპყრობა. ამ ჯგუფების შემთხვევაში მაღალი იყო „არ ვიცი“ პასუხების მაჩვენებელი (29% და 18% შესაბამისად). არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატები უფრო კრიტიკულები იყვნენ, ვიდრე იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატები ყველა ჯგუფის, როგორც მარგინალიზებული, ისე არამარგინალიზებული ჯგუფის მიმართ მოპყრობის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატების შეფასებები არამარგინალიზებული და მარგინალიზებული ჯგუფების მიმართ სასამართლოს მხრიდან მოპყრობის თვალსაზრისით მხოლოდ უმნიშვნელოდ განსხვავდებოდა (მაგ., ქართველები და ეთნიკური უმცირესობები) მაშინ, როცა არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების შეფასებები განსხვავებული ჯგუფების მიმართ მოპყრობასთან დაკავშირებით უფრო მკვეთრად განსხვავებული იყო.<sup>44</sup>


---

<sup>44</sup> მონაცემები განსხვავდება მეორე ინდიკატორში წარმოდგენილი მონაცემებისგან, რადგან: (1) ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ პასუხების გარეშე; (2) ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები აერთიანებს რამდენიმე შეკითხვას უმცირესობისა და არაუმცირესობის ჯგუფების მიმართ მართლმსაჯულების ერთზე მეტი ინსტიტუტის მხრიდან მოპყრობასთან დაკავშირებით; (3) ინდიკატორის გამოთვლებში კერძო, არასამთავრობო სექტორის და იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატების მონაცემები გაერთიანებულია. ინდიკატორების დეტალური აღწერა იხილეთ მეორე დანართში.



აღნიშნული უმცირესობების ჯგუფებისადმი პროკურატურის მოპყრობა ძირითადად ან სრულად თანასწორად მიიჩნია პროკურორების თითქმის 100-ივე პროცენტმა. მოსამართლეების, იურიდიული დახმარების სამსახურისა და კერძო ადვოკატების 70 პროცენტზე მეტი ასევე დადებითად აფასებდა პროკურატურის მოპყრობას უმცირესობების ჯგუფების მიმართ. გამონაკლისს წარმოადგენდა ლგბტ თემის წარმომადგენლების მიმართ მოპყრობა, რომელთა შემთხვევაშიც, კერძო ადვოკატების 60%-ის აზრით, პროკურატურის დამოკიდებულება ძირითადად ან სრულად თანასწორი იყო. აღნიშნულის საპირისპიროდ, არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატები გაცილებით უფრო კრიტიკულები იყვნენ პროკურატურის მიმართ. მხოლოდ 18 პროცენტმა განაცხადა, რომ პროკურატურა ლგბტ თემის წარმომადგენლებს ძირითადად ან სრულად თანასწორად ეპყრობა, 27 პროცენტმა აღნიშნა იგივე რელიგიური უმცირესობების შემთხვევაში და 37 პროცენტმა განაცხადა, რომ ეთნიკური უმცირესობების მიმართ მოპყრობა სრულად ან ძირითადად თანასწორი იყო. არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატები ძირითადი ჯგუფების მიმართ პროკურატურის მოპყრობას უთანასწოროდ მიიჩნევენ. უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატები პროკურატურის მოპყრობას ყველა ჯგუფის მიმართ უფრო თანასწორად თვლიდნენ, ვიდრე მათი კოლეგები არასამთავრობო სექტორიდან.<sup>45</sup>

<sup>45</sup> მონაცემები განსხვავდება მეორე ინდიკატორში წარმოდგენილი მონაცემებისგან, რადგან: (1) ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ პასუხების გარეშე; (2) ინდიკატორის



იურიდიული დახმარების სახელმწიფო სამსახურის ადვოკატების მიერ მარგინალიზებული და არამარგინალიზებული ჯგუფების მოპყრობა შეფასდა, როგორც სრულად ან ძირითადად თანასწორი. თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების დაახლოებით 40%, კერძო ადვოკატების დაახლოებით 15-20% და მოსამართლეების დაახლოებით 15% ამ ტიპის კითხვებზე სცემდა პასუხს „არ ვიცი“, რაც მიუთითებს, რომ იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები კარგად არ იცნობენ ამ ორგანიზაციის მუშაობას.

პროცენტული მაჩვენებლები აერთიანებს რამდენიმე შეკითხვას უმცირესობისა და არაუმცირესობის ჯგუფების მიმართ მართლმსაჯულების ერთზე მეტი ინსტიტუტის მხრიდან მოპყრობასთან დაკავშირებით; (3) ინდიკატორის გამოთვლებში კერძო, არასამთავრობო სექტორის და იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატების მონაცემები გაერთიანებულია. ინდიკატორების დეტალური აღწერა იხილეთ მეორე დანართში.



ფოკუს ჯგუფებში დისკუსიებისა და თვისებრივი ინტერვიუების დროს იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობა აცხადებდა, რომ მსგავს საქმეებში უმცირესობებისა და უმრავლესობის მიმართ მოპყრობა თანასწორი იყო. თუმცა, ერთმა ადვოკატმა მოიყვანა უმცირესობის ჯგუფების დისკრიმინაციის მაგალითები და აღნიშნა, რომ რეგიონებში მოსამართლეები უმცირესობების მიმართ საკმარისად სენსიტიურები არ არიან. მან მოიყვანა მაგალითი, როცა მოსამართლემ ღიად დააფიქსირა საკუთარი რელიგიური რწმენა და დალოცა მხარე, რომელიც მუსულმანი იყო. კერძოდ, მოსამართლემ ასეთი ფრაზები გამოიყენა: „ჩვენ, მართლმადიდებლები“ და „ღმერთმა დაგლოცოთ“. თუმცა, ასეთი შემთხვევები საკმაოდ იშვიათია.<sup>46</sup> აღნიშნულის საპირისპიროდ, პროკურორმა თბილისიდან აღნიშნა, რომ მარგინალიზებული ჯგუფების, კერძოდ ლგბტ თემის წევრების შემთხვევაში მხარეები და სასამართლო გაცილებით სენსიტიური იყო, განსაკუთრებით გამოყენებულ ტერმინებთან დაკავშირებით.<sup>47</sup> ერთმა პროკურორმა ისიც აღნიშნა, რომ თუკი იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატი დისკრიმინაციას გამოავლენს მისი საკუთარი კლიენტის მიმართ, კანონი ითვალისწინებს ასეთი წარმომადგენლის გათავისუფლებას, რადგან ეს კლიენტის ინტერესებს ეწინააღმდეგება.<sup>48</sup>

*„არ ყოფილა არცერთი შემთხვევა, რომ შემემჩნია აგრესია ან ცინიზმი, ან რაიმე ასეთი მოსამართლის ან ადვოკატის სახეზე. ისინი შესაძლოა, უფრო დაკვირვებით არჩევენ ტერმინებს,“ აღნიშნა პროკურორმა თბილისიდან.*

თვისებრივი კომპონენტის დეტალური მიმოხილვა იხილეთ მეოთხე დანართში.

ფოკუს ჯგუფებზე ადვოკატები აცხადებდნენ, რომ ზოგჯერ პოლიციის დამოკიდებულება რელიგიური ან ეთნიკური უმცირესობების მიმართ შესაძლოა, უსამართლო ან შეურაცხმყოფელი იყოს (მაგ., ზოგ რეგიონში პოლიციამ ქართული ენის არცოდნა შეიძლება, საკუთარი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს), მაგრამ ამას მართლმსაჯულების სხვა ინსტიტუტებში სისტემური ხასიათი არ აქვს. პროკურორებმა ერთხმად განაცხადეს, რომ მართლმსაჯულების დაწესებულებებში სხვადასხვა ჯგუფების მიმართ განსხვავებულ მოპყრობას ადგილი არ აქვს.

ადვოკატებმა რუსთავიდან განიხილეს ერთი შემთხვევა, როცა პოლიცია არასრულწლოვანის დამცველ ადვოკატს მისი კლიენტის თანდასწრებით ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რის გამოც ბრალდებული საფრთხის შეგრძნებამ მოიცვა.<sup>49</sup> მიუხედავად იმისა, რომ პროკურორს

<sup>46</sup> ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) ადვოკატი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 3-წლიანი გამოცდილება, თბილისი.  
<sup>47</sup> პროკურორი, მუშაობის 9-წლიანი გამოცდილება, თბილისი.  
<sup>48</sup> პროკურორი, მუშაობის 10-წლიანი გამოცდილება, თბილისი.  
<sup>49</sup> კერძო ადვოკატი, საერთო სამართალი, მუშაობის 15-წლიანი გამოცდილება, რუსთავი; კერძო ადვოკატი, საერთო სამართალი, მუშაობის 26-წლიანი გამოცდილება, რუსთავი; საია-ს ადვოკატი, სამოქალაქო სამართალი, მუშაობის 9-წლიანი გამოცდილება, რუსთავი; იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატი, საერთო სამართალი, მუშაობის 12-წლიანი გამოცდილება, რუსთავი.

არ დაუკონკრეტებია ეს ან რომელიმე სხვა საქმე, მან აღნიშნა, რომ პოლიციის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტება სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა.<sup>50</sup>

### *ეფექტურობა*

იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებმა შეაფასეს ისეთი ინსტიტუტების ეფექტურობა, როგორებიცაა პოლიცია და სასამართლოები. კონკრეტული საკითხები წამოიჭრა ზოგადად მათ ეფექტურობასთან დაკავშირებით, პოლიციის შემთხვევაში კი, საზოგადოების ცალკეულ ჯგუფებთან - უმცირესობებსა და ქალებთან მიმართებით.

პროკურორებმა, იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატებმა, მოსამართლეებმა და კერძო ადვოკატებმა დადებითად შეაფასეს პოლიციის ეფექტურობა უმცირესობათა სხვადასხვა ჯგუფებისა და ქალების მიმართ მოპყრობის თვალსაზრისით. პროკურორების 90 პროცენტმა განაცხადა, რომ პოლიციის მხრიდან აღნიშნული ჯგუფების მიმართ მოპყრობა ძირითადად ან სრულად ეფექტური იყო. ლგბტ თემის წარმომადგენლების შემთხვევაში ეს მაჩვენებლები ოდნავ დაბალი იყო - მოსამართლეების 67%, კერძო ადვოკატების 54%, იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატების 77% და პროკურორების 91% აცხადებდა, რომ პოლიციის მხრიდან მოპყრობა ამ ჯგუფის წარმომადგენლების მიმართ ძირითადად ან სრულად ეფექტური იყო. არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატებმა მნიშვნელოვნად განსხვავებული მოსაზრებები გამოთქვეს, მათგან მხოლოდ 10 პროცენტმა აღნიშნა, რომ პოლიციის დამოკიდებულება ლგბტ თემის წარმომადგენლების მიმართ ძირითადად ან სრულად ეფექტური იყო, 22 პროცენტის აზრით, ასეთი იყო მოპყრობა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მიმართ, 18 პროცენტის თქმით, რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლების მიმართ და 20 პროცენტის აზრით, ქალების მიმართ.<sup>51</sup> პროკურორების მიერ პოლიციის ეფექტურობის მაღალი შეფასების მიუხედავად, ორმა პროკურორმა ხაზი გაუსვა პოლიციაში რეფორმის საჭიროებას,<sup>52</sup> ერთმა კი აღნიშნა, რომ ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით ცოდნის ნაკლებობის გამო პოლიცია ზოგჯერ აჭარბებს საკუთარ უფლებამოსილებას, რასაც ფიზიკური პირის უფლებების დარღვევა მოჰყვება.<sup>53</sup>

იურიდიული პროფესიის წარმომადგენელთაგან მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატები იყვნენ ისინი, ვინც დიდი განსხვავება დაინახა პოლიციის დამოკიდებულებაში მარგინალიზებული და არამარგინალიზებული ჯგუფების მიმართ.

<sup>50</sup> პროკურორი, მუშაობის 9-წლიანი გამოცდილება, რუსთავი.


<sup>51</sup> მონაცემები განსხვავდება მეორე ინდიკატორში წარმოდგენილი მონაცემებისგან, რადგან: (1) ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ პასუხების გარეშე; (2) ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები აერთიანებს რამდენიმე შეკითხვას უმცირესობისა და არაუმცირესობის ჯგუფების მიმართ მართლმსაჯულების ერთზე მეტი ინსტიტუტის მხრიდან მოპყრობასთან დაკავშირებით; (3) ინდიკატორის გამოთვლებში კერძო, არასამთავრობო სექტორის და იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატების მონაცემები გაერთიანებულია. ინდიკატორების დეტალური აღწერა იხილეთ მეორე დანართში.

<sup>52</sup> პროკურორი, მუშაობის 9-წლიანი გამოცდილება, რუსთავი; პროკურორი, მუშაობის 3-წლიანი გამოცდილება, რუსთავი.

<sup>53</sup> პროკურორი, მუშაობის 9-წლიანი გამოცდილება, რუსთავი.


როდესაც პოლიციას მიმართავს საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი რელიგიის წარმომადგენელი, მართლმადიდებელი ქრისტიანის გარდა, თქვენი გამოცდილებით, რამდენად ეფექტურად ან არაეფექტურად განახორციელებს პოლიცია კანონით გათვალისწინებულ ზომებს? (%)

- ძალიან ეფექტურად
- ძირითადად ეფექტურად
- ძირითადად არაეფექტურად
- ძალიან არაეფექტურად
- არ ვიცი
- უარი პასუხზე



როდესაც პოლიციას მიმართავს საქართველოში მცხოვრები მართლმადიდებელი ქრისტიანი, თქვენი გამოცდილებით, რამდენად ეფექტურად ან არაეფექტურად განახორციელებს პოლიცია კანონით გათვალისწინებულ ზომებს? (%)

- ძალიან ეფექტურად
- ძირითადად ეფექტურად
- ძირითადად არაეფექტურად
- ძალიან არაეფექტურად
- არ ვიცი
- უარი პასუხზე



იურიდიული პროფესიის თითქმის ყველა წარმომადგენელი აღნიშნავდა პრობლემებს სასამართლოების ეფექტურობასთან დაკავშირებით. კერძოდ, მოსამართლეების მცირე რიცხოვნობის და საქმეების დიდი რაოდენობის გამო ხაზი გაესვა პრობლემას საქმეების მოსმენისა და გადაწყვეტის დროულობასთან და არსებითი განხილვისთვის საქმეების დროულ დაშვებასთან დაკავშირებით.

საქმეების რაოდენობას განსაკუთრებით დიდ პრობლემად მოსამართლეები მიიჩნევდნენ. ეს საკითხი გავლენას ახდენს სწრაფი მართლმსაჯულების უფლებაზე (დაჩქარებული განხილვის უფლებაზე) და ზოგ შემთხვევაში გადაწყვეტილების ხარისხზე. მოსამართლეების ნაწილი ასევე ხაზს უსვამდა ინფრასტრუქტურულ პრობლემებს, მაგალითად, სასამართლო დარბაზების ნაკლებობას, რაც მოსმენების გადადებას და პროცესების გაჭიანურებას იწვევდა.<sup>54</sup> ბათუმში ერთმა მოსამართლემ აღნიშნა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოში თითოეულ მოსამართლეს საქმეების ძალიან დიდი რაოდენობა აქვს განსახილველი: სისხლის სამართლის სფეროში, თითოეულ მოსამართლეზე 100 საქმეზე მეტი მოდის, ადმინისტრაციულ საქმეებში - 150-170, ხოლო სამოქალაქო საქმეებში რაოდენობა თითო მოსამართლეზე 300 აღწევს.<sup>55</sup> ამდენად, ზოგიერთი საქმეების განხილვა ხანგრძლივი პერიოდით იდება. ეს პრობლემა კიდევ უფრო მწვავედ იდგა ახალი მოსამართლეების დანიშვნამდე, მაგრამ დანიშვნის შედეგადაც პრობლემის სრულად გადაწყვეტა არ მომხდარა. იმავე მოსამართლემ აღნიშნა, რომ სასამართლოს შვიდ დარბაზს 13 მოსამართლე იყენებს. ამრიგად, ყველა მოსამართლე ერთდროულად რომ იყოს მზად საქმის განსახილველად, მათ მოუწევთ მოცდა, სანამ სასამართლო დარბაზი არ გათავისუფლდება. ეს ასევე ზრდის საქმის გადასაწყვეტად საჭირო დროს.

ადვოკატების დიდმა ნაწილმა ასევე ხაზი გაუსვა მოსამართლეების დატვირთვის განსაკუთრებულ პრობლემურობას. მათი გამოცდილებით, ზოგ შემთხვევაში მოსმენა გადაიდო იმდენად დიდი ხნით, რომ მოსარჩელე გარდაიცვალა მისი საქმის მოსმენის დაწყებამდე.<sup>56</sup> იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების თანახმად, როცა სასამართლოს საქმეების დიდ რაოდენობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება უწევს, ეს გადაწყვეტილება არ არის კარგად დასაბუთებული და ზოგჯერ შაბლონურად ხდება მისი მიღება საქმის ინდივიდუალური შეფასების გარეშე.<sup>57</sup>

### *უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა*

უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვის შეფასება გულისხმობს ბრალდებულის უფლებების დაცვას სასამართლოს მიერ. რაოდენობრივი გამოკითხვის თანახმად, იურისტების


<sup>54</sup> მოსამართლე, სისხლის და სამოქალაქო სამართალი, მუშაობის 8-წლიანი გამოცდილება, ბათუმი; მოსამართლე, სისხლის სამართალი, მუშაობის 1-წლიანი გამოცდილება, თბილისი.

<sup>55</sup> მოსამართლე, სისხლის და სამოქალაქო სამართალი, მუშაობის 8-წლიანი გამოცდილება, ბათუმი.

<sup>56</sup> საია-ს ადვოკატი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 2-წლიანი გამოცდილება, თბილისი.

<sup>57</sup> საია-ს ადვოკატი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 1-წლიანი გამოცდილება, ბათუმი.

დაახლოებით 80% მიიჩნევს, რომ სასამართლო სრულად ან ძირითადად იცავს უდანაშაულობის პრეზუმფციას ყველა ჯგუფისთვის. მოსამართლეების დაახლოებით 90% და პროკურორების დაახლოებით 75-80% აცხადებს, რომ სასამართლო უზრუნველყოფს სრულ დაცვას მაშინ, როცა არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატები და იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატები თვლიან, რომ დაცვა ძირითადად უზრუნველყოფილია.<sup>58</sup>



### მართლმსაჯულების ფინანსური ხელმისაწვდომობა

რაოდენობრივმა კვლევამ აჩვენა, რომ მართლმსაჯულების სისტემის ფინანსური ხელმისაწვდომობა პრობლემურად მიიჩნევა იურიდიული პროფესიის ბევრი წარმომადგენლის მიერ.

<sup>58</sup> მონაცემები განსხვავდება მეორე ინდიკატორში წარმოდგენილი მონაცემებისგან, რადგან: (1) ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ პასუხების გარეშე; (2) ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები აერთიანებს სკალის „ძირითადად იცავს“ და „სრულად იცავს“ პასუხებს იმისთვის, რომ გამოთვალოს დადებითი შეფასება სასამართლოს მიერ უმცირესობათა და არაუმცირესობათა ჯგუფების უდანაშაულობის პრეზუმფციის; (3) ინდიკატორის გამოთვლებში კერძო, არასამთავრობო სექტორის და იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატების მონაცემები გაერთიანებულია. ინდიკატორების დეტალური აღწერა იხილეთ მეორე დანართში.

იურიდიული პროფესიის ყველა წარმომადგენლის მხოლოდ ნახევარზე ნაკლები მიიჩნევს კერძო ადვოკატების მომსახურებას ძირითადად ან სრულად ხელმისაწვდომად. არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების 14 პროცენტი და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების 28 პროცენტი იზიარებს ამ მოსაზრებას.<sup>59</sup>

რაც შეეხება სასამართლოში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესაძლებლობას, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების ნახევარზე ნაკლები (მოსამართლეების გარდა) მიიჩნევს მას ძირითადად ან სრულად ხელმისაწვდომად. არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების 33% და იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატების 35% იზიარებს ამ მოსაზრებას. აღნიშნულის საპირისპიროდ, მოსამართლეების დაახლოებით სამმა მეოთხედმა (81%) აღნიშნა, რომ სახელმწიფო ბაჟი ძირითადად ან სრულიად ხელმისაწვდომია მოქალაქეებისთვის.<sup>60</sup> იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების მცირე რაოდენობა თვლის, რომ სასამართლო ფინანსურად სრულად ხელმისაწვდომია ან საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი.

მართლმსაჯულების სისტემის ფინანსური ხელმისაწვდომობა თვისებრივი კვლევის საგანსაც წარმოადგენდა. ფოკუს ჯგუფებში ადვოკატების ნაწილმა აღნიშნა, რომ ბრალდებულებს ყოველთვის არ აქვთ გარკვეული პროცედურული ქმედებების (მაგ., მტკიცებულებების მოპოვება, ექსპერტების დაქირავება) განხორციელების ფინანსური შესაძლებლობა.<sup>61</sup> მოსამართლეებმა ასევე მიუთითეს, რომ ზოგჯერ მხარებს კერძო ადვოკატების დაქირავება არ შეუძლიათ.<sup>62</sup> არაკვალიფიციური ან არაკეთილსინდისიერი ადვოკატების პრობლემა აღნიშნა ზოგიერთი მოსამართლის მიერ, რომლებმაც განაცხადეს, რომ ზოგჯერ ადვოკატები ცდილობენ პროცესის გაჭიანურებას მორიგებაზე უარის თქმით ან დამატებითი მტკიცებულებების წარდგენით იმისათვის, რომ უფრო მეტი ანაზღაურება მიიღონ.<sup>63</sup>

<sup>59</sup> მონაცემები განსხვავდება მეორე ინდიკატორში წარმოდგენილი მონაცემებისგან, რადგან: (1) ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ პასუხების გარეშე; (2) ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები ითვალისწინებს ორ შეკითხვას (კერძო ადვოკატების ფინანსურ ხელმისაწვდომობასა და სასამართლო მოსაპოვებლის გადახდის შესაძლებლობის შესახებ), ხოლო ზემოთ მოცემული მაჩვენებლები მხოლოდ კერძო ადვოკატების ფინანსურ ხელმისაწვდომობას ეხება; (3) ინდიკატორის გამოთვლებში კერძო, არასამთავრობო სექტორის და იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატების მონაცემები გაერთიანებულია. ინდიკატორების დეტალური აღწერა იხილეთ მეორე დანართში.

<sup>60</sup> მონაცემები განსხვავდება მეორე ინდიკატორში წარმოდგენილი მონაცემებისგან, რადგან: (1) ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ პასუხების გარეშე; (2) ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები ითვალისწინებს ორ შეკითხვას (კერძო ადვოკატების ფინანსურ ხელმისაწვდომობასა და სასამართლო მოსაპოვებლის გადახდის შესაძლებლობის შესახებ), ხოლო ზემოთ მოცემული მაჩვენებლები მხოლოდ კერძო ადვოკატების ფინანსურ ხელმისაწვდომობას ეხება; (3) ინდიკატორის გამოთვლებში კერძო, არასამთავრობო სექტორის და იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატების მონაცემები გაერთიანებულია. ინდიკატორების დეტალური აღწერა იხილეთ მეორე დანართში.

<sup>61</sup> კერძო ადვოკატი, საერთო სამართალი, მუშაობის 26-წლიანი გამოცდილება, რუსთავი; საია-ს ადვოკატი, სამოქალაქო სამართალი, მუშაობის 9-წლიანი გამოცდილება, რუსთავი.

<sup>62</sup> მოსამართლე, სისხლის და სამოქალაქო სამართალი, მუშაობის 8-წლიანი გამოცდილება, ბათუმი; მოსამართლე, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 15-წლიანი გამოცდილება, რუსთავი.

<sup>63</sup> მოსამართლე, სისხლის და სამოქალაქო სამართალი, მუშაობის 8-წლიანი გამოცდილება, ბათუმი; მოსამართლე, სისხლის და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 32-წლიანი გამოცდილება, ახალციხე.

რამდენიმე ადვოკატი ფოკუს ჯგუფების დროს აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, რომელიც მხარეს მოწინააღმდეგე მხარისთვის დოკუმენტების წარდგენის ვალდებულებას აკისრებს, არასამართლიანია და მიზნად ისახავს სასამართლოს ფუნქციების შემსუბუქებას მაშინ, როცა ასეთ ხარჯებს სასამართლოს მოსაკრებელი უნდა ფარავდეს.<sup>64</sup> ასევე აღინიშნა, რომ პრაქტიკაში არ არის არცერთი შემთხვევა, როცა სასამართლო უარს ამბობს მოსაკრებელზე, ან მის შემცირებას ან გადავადებას ახდენს, მიუხედავად იმისა, რომ კანონი საკმარისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში ასეთ შესაძლებლობას იძლევა. ამდენად, იზღუდება სასამართლოს ფინანსური ხელმისაწვდომობა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც სამართლებრივად სოციალურად მოწყვლად ჯგუფს არ მიეკუთვნებიან, მაგრამ არასაკმარისი ფინანსური საშუალება აქვთ აღნიშნული მოსაკრებლის გადასახდელად.<sup>65</sup> კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემად დასახელდა მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა პატიმრებისთვის. რადგანაც ისინი, ნასამართლეობის გამო, ამოღებულნი არიან სოციალურად დაუცველი პირების სიიდან, მათ სასამართლოს მოსაკრებელი უნდა გადაიხადონ, თუ რაიმე მიზეზით მისთვის მიმართვა სურთ.<sup>66</sup>

---

## **ინდიკატორი 2: მართლმსაჯულების სისტემასთან მოქალაქეთა წვდომის შეფასება**

**(დადებითი შეფასებების პროცენტული მაჩვენებელი, პასუხების რაოდენობა მოცემულია ფრჩხილებში)**

მოსამართლეებისა და პროკურორების დიდი უმრავლესობა დადებით შეფასებას აძლევს მოქალაქეთა შესაძლებლობას, ისარგებლონ მართლმსაჯულების სისტემის მიერ შემოთავაზებული დაცვით; მოსამართლეებისა და პროკურორების კიდევ უფრო დიდი უმრავლესობა მართლმსაჯულების ინსტიტუტების მიერ მარგინალიზებული ჯგუფების მოპყრობას აფასებს, როგორც თანასწორს. მათივე აზრით, უდანაშაულობის პრეზუმფცია დაცულია სასამართლოების მხრიდან. ადვოკატების უმრავლესობა ასევე დადებითად აფასებს სასამართლოს მიერ უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვას. მაგრამ მართლმსაჯულების სისტემით სარგებლობის შესაძლებლობის თვალსაზრისით, ადვოკატების მხოლოდ ნახევარზე ოდნავ მეტი იძლევა დადებით შეფასებას; ეს განპირობებულია თანაბარი მოპყრობისა და მართლმსაჯულების ფინანსური ხელმისაწვდომობის დაბალი მაჩვენებლით. მართლმსაჯულების ფინანსური ხელმისაწვდომობა სასამართლო პროცესის ყველა მონაწილის მიერ განიხილება, როგორც ყველაზე პრობლემური საკითხი.

---

<sup>64</sup> კერძო ადვოკატი, სისხლის სამართალი, მუშაობის 8-წლიანი გამოცდილება, ბათუმი; კერძო ადვოკატი, ყოფილი მოსამართლე, საერთო სამართალი, მუშაობის 33-წლიანი გამოცდილება, ახალციხე.

<sup>65</sup> კერძო ადვოკატი, საერთო სამართალი, მუშაობის 15-წლიანი გამოცდილება, ბათუმი.

<sup>66</sup> საია-ს ადვოკატი, სისხლის სამართალი, მუშაობის 1-წლიანი გამოცდილება, ბათუმი.



	მოსამართლეები	ადვოკატები	პროკურორები
მართლმსაჯულების სისტემის მიერ შემოთავაზებული დაცვის მექანიზმებით სარგებლობის შესაძლებლობის შეფასების საშუალო მაჩვენებელი	82% (107)	56% (304)	79% (99)
თანასწორი მოპყრობა	97% (108)	63% (309)	96% (102)
უდანაშაულობის პრეზუმფცია	98% (105)	80% (295)	97% (102)
ხელმისაწვდომობა	52% (108)	26% (309)	45% (93)

\* ინდიკატორების დეტალური აღწერა იხილეთ მეორე დანართში.

\*\* ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ პასუხების გარეშე.


\*\*\* ინდიკატორის გამოთვლებში ინდიკატორის გამოთვლებში კერძო, არასამთავრობო სექტორის და იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატების მონაცემები გაერთიანებულია.

### 3. იურიდიული განათლების ხარისხის შეფასება

ძირითადი მიგნებები:

- იურიდიული განათლება აღმოჩნდა ის თემა, რომელშიც დადებითი შეფასებების ნაკლებობა შეინიშნება. ყველაზე პოზიტიურად განწყობილნი არსებულ თეორიულ და პრაქტიკულ განათლებასთან დაკავშირებით პროკურორები იყვნენ. ნახევარზე ოდნავ მეტმა დადებითად შეაფასა იურიდიული განათლების ხარისხი. მოსამართლეებისა და ადვოკატების უმრავლესობამ კი, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული იურიდიული განათლების ხარისხი დადებითად არ შეაფასა.
- პროკურორების თქმით, სტაჟირების სავალდებულო პროგრამა „განსაკუთრებით ფასეულია“.
- ადვოკატებმა დადებითად შეაფასეს ადვოკატთა ასოციაციის განგრძობადი განათლების ტრენინგები. თუმცა, ადვოკატებმა რეგიონებიდან აღნიშნეს, რომ მათ უჭირდათ თბილისში ჩამოსვლა და ტრენინგებზე დასწრება.
- მოსამართლეებმა დადებითი შეფასება მისცეს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ჩატარებულ ტრენინგებს და ხაზი გაუსვეს, რომ ტრენინგები არსებული მოთხოვნების შესაბამისი იყო.

იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობა (ყველა ტიპის რესპონდენტის 55-75%, მაგრამ არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების 33%-ზე ნაკლები) თანხმდება, რომ ქართული უნივერსიტეტების იურიდიული დეპარტამენტები კურსდამთავრებულებს ძირითადად ან სრულიად საკმარის თეორიულ ცოდნას აძლევენ, მაგრამ რესპონდენტები ძირითადად არ ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ კურსდამთავრებულებს საკმარისი პრაქტიკული უნარ-ჩვევები აქვთ. არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების მხოლოდ 10 პროცენტი, კერძო ადვოკატების 28 პროცენტი და მოსამართლეების 38 პროცენტი ძირითადად ან სრულიად ეთანხმება მოსაზრებას, რომ იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს საკმარისი პრაქტიკული უნარები აქვთ იურიდიული პრაქტიკის დასაწყებად.<sup>67</sup> მთლიანობაში იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტები თავიანთ კურსდამთავრებულებს საშუალო დონეზე ამზადებენ სპეციალიზებული საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის.



<sup>67</sup> მონაცემები განსხვავდება მესამე ინდიკატორში წარმოდგენილი მონაცემებისგან, რადგან: (1) ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ პასუხების გარეშე; (2) თეორიული განათლების შესაფასებლად ინდიკატორი აერთიანებს ორ შეკითხვას (აქვთ თუ არა იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს საკმარისი თეორიული ცოდნა და ამზადებს თუ არა უნივერსიტეტი კურსდამთავრებულებს სპეციალიზებული საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის); (3) ინდიკატორის გამოთვლებში კერძო, არასამთავრობო სექტორის და იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატების მონაცემები გაერთიანებულია. ინდიკატორების დეტალური აღწერა იხილეთ მეორე დანართში.

თვისებრივი კვლევის დროს ადვოკატებმა და მოსამართლეებმა მსგავსი შეფასებები გააკეთეს. ზოგმა აღნიშნა, რომ სტუდენტები და კურსდამთავრებულები არ არიან აღჭურვილნი უნარ-ჩვევებით, რაც ოფიციალური სამართლებრივი დოკუმენტების წერილობით მოსამზადებლად საჭირო.<sup>68</sup> მათ ხაზი გაუსვეს არასაკმარის პრაქტიკულ განათლებას,<sup>69</sup> განსაკუთრებით რეგიონების უნივერსიტეტებში.<sup>70</sup> ასევე აღინიშნა, რომ პრაქტიკული ცოდნის შესაძენად მნიშვნელოვანია, სტაჟიორ ადვოკატებს შეეძლოთ სასამართლო პროცესში მონაწილეობა, სტაჟიორი პროკურორების მსგავსად, რაც მათ მისცემს სასამართლო პროცესში მონაწილეობის უნარ-ჩვევების გამომუშავების საშუალებას.<sup>71</sup> მიუხედავად ამისა, ზოგმა ადვოკატმა ხაზი გაუსვა, რომ ამჟამად კურსდამთავრებულებს უკეთესი უნარ-ჩვევები აქვთ, ვიდრე რამდენიმე ათეული წლის წინ.<sup>72</sup> მაგრამ ისინი თვლიან, რომ კვლავაც არსებობს დამატებითი პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენის საჭიროება როგორც უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, ისე მისი დასრულების შემდეგ (სასწავლო სასამართლო პროცესების საშუალებით).<sup>73</sup>

თვისებრივი ინტერვიუების დროს მოსამართლეებმა საკმაოდ დადებითად შეაფასეს იურიდიული განათლების ხარისხი ქართულ უნივერსიტეტებში, განსაკუთრებით წინა წლებთან შედარებით, მაგრამ ხაზი გაუსვეს, რომ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს პრაქტიკულ უნარებს.<sup>74</sup> მოსამართლეების ნაწილმა სწორედ სასამართლოში და მართლმსაჯულების სხვა დაწესებულებებში სტაჟირების შესაძლებლობა აღნიშნეს, როგორც პრაქტიკული განათლების

*„უნივერსიტეტმა სტუდენტებს უნდა მისცეს ის, რასაც ისინი უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ ეძებენ და სხვა წყაროდან მიღებას ცდილობენ. უნივერსიტეტმა მათ უნდა მისცეს საფუძველი, პრაქტიკა თეორიასთან ერთად.“ (კერძო ადვოკატი, საერთო სამართალი, მუშაობის 17-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)*

თვისებრივი კომპონენტის დეტალური მიმოხილვა იხილეთ მეოთხე დანართში.

<sup>68</sup> კერძო ადვოკატი, ლექტორი, კერძო და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 30-წლიანი გამოცდილება, თბილისი.

<sup>69</sup> კერძო ადვოკატი, ყოფილი პროკურორი, სისხლის სამართალი, მუშაობის 37-წლიანი გამოცდილება, ახალციხე; კერძო ადვოკატი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი გამომძიებელი, სისხლის სამართალი, მუშაობის 27-წლიანი გამოცდილება, ახალციხე; საია-ს ადვოკატი, სისხლის სამართალი, მუშაობის 1-წლიანი გამოცდილება, ბათუმი.

<sup>70</sup> საია-ს ადვოკატი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 1-წლიანი გამოცდილება, ბათუმი; კერძო ადვოკატი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 2-წლიანი გამოცდილება, ბათუმი.

<sup>71</sup> კერძო ადვოკატი, სისხლის და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 12-წლიანი გამოცდილება, თბილისი.


<sup>72</sup> კერძო ადვოკატი, საერთო სამართალი, მუშაობის 26-წლიანი გამოცდილება, რუსთავი.

<sup>73</sup> საია-ს ადვოკატი, სამოქალაქო სამართალი, მუშაობის 9-წლიანი გამოცდილება, რუსთავი; კერძო ადვოკატი, საერთო სამართალი, მუშაობის 17-წლიანი გამოცდილება, რუსთავი; პროკურორი, მუშაობის 13-წლიანი გამოცდილება, ბათუმი; პროკურორი, მუშაობის 3-წლიანი გამოცდილება, ბათუმი.

<sup>74</sup> მოსამართლე, სამოქალაქო სამართალი, მუშაობის 7-წლიანი გამოცდილება, ბათუმი; მოსამართლე, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 10-წლიანი გამოცდილება, რუსთავი; მოსამართლე, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 15-წლიანი გამოცდილება, რუსთავი; მოსამართლე, სისხლის და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 32-წლიანი გამოცდილება, ახალციხე; მოსამართლე, სისხლის და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 4-წლიანი გამოცდილება, ახალციხე.

გაუმჯობესების შესაძლებლობა.<sup>75</sup>

თითქმის ყველა პროკურორმა აღნიშნა, რომ სტაჟირების სავალდებულო პროგრამა, რომელიც კანდიდატმა უნდა დაასრულოს პროკურორად დანიშვნამდე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ისინი თვლიან, რომ სტაჟირების პროგრამა თითქმის ყველა უნარს აფასებს და ხელს უწყობს შეჯიბრებითობას, რაც, თავის მხრივ, კვალიფიციური პერსონალის ფორმირებას განაპირობებს. ასეთი პროგრამების განმავლობაში მიღებული პრაქტიკული ცოდნა განსაკუთრებით ფასეულია. პროკურორმა ბათუმიდან აღნიშნა, რომ მიუხედავად საკმაოდ დეტალური პრაქტიკული ცოდნისა, რომელიც მან უნივერსიტეტში შეიძინა, „სტაჟირება რომ დაიწყო, სულ სხვა მიდგომებს გადაეყარა.“<sup>76</sup> ერთმა პროკურორმა ახალციხიდან განაცხადა, რომ მნიშვნელოვანია სტუდენტების წახალისება რეგიონებში, რათა ადგილობრივ უნივერსიტეტებში ისწავლონ მიუხედავად იმისა, რომ თბილისში სწავლის გაცილებით მეტი შესაძლებლობაა; მოტივირებულ სტუდენტს რეგიონშიც შეუძლია ადექვატური განათლების მიღება და ცალკეულმა სასწავლებლებმა უნდა დააფასონ ასეთი მოტივირებული სტუდენტები, რომლებიც სხვებისთვის სამაგალითონი არიან.<sup>77</sup>



<sup>75</sup> მოსამართლე, სისხლის და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 4-წლიანი გამოცდილება, ახალციხე; მოსამართლე, სისხლის და სამოქალაქო სამართალი, მუშაობის 8-წლიანი გამოცდილება, ბათუმი.

<sup>76</sup> პროკურორი, მუშაობის 3-წლიანი გამოცდილება, ბათუმი; პროკურორი, მუშაობის 17-წლიანი გამოცდილება, ახალციხე.

<sup>77</sup> პროკურორი, მუშაობის 17-წლიანი გამოცდილება, ახალციხე.

თვისებრივი კვლევის დროს ადვოკატები და მოსამართლეები აფასებდნენ განგრძობადი იურიდიული განათლების შესაძლებლობებს და ამის ფარგლებში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ჩატარებულ ტრენინგებს. ადვოკატებმა ძირითადად დადებითი შეფასება მისცეს ასოციაციის ტრენინგებს და აღნიშნეს, რომ თემები საინტერესო იყო. ასევე მოიწონეს ტრენინგების და მასალების მაღალი ხარისხი.<sup>78</sup> თუმცა, ადვოკატების ნაწილმა აღნიშნა, რომ თემები და შინაარსი მეორედებოდა.<sup>79</sup> ზოგმა ადვოკატმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ტრენინგები ხანმოკლე და ზედმეტად ზოგადია, ასევე სიღრმისეული დისკუსიის გარეშე მიმდინარეობს.<sup>80</sup> ადვოკატებმა რეგიონებიდან აღნიშნეს, რომ ტრენინგები ზოგჯერ მიუწვდომელია მათთვის სიშორის გამო, ასევე მგზავრობისა და დასწრებისთვის დროის არქონის გამო.<sup>81</sup> ზოგმა ადვოკატმა აღნიშნა, რომ სასამართლოები ან იუსტიციის უმაღლესი საბჭო ასევე კარგი დაწესებულებები იქნება პრაქტიკოსი ადვოკატებისთვის განგრძობადი იურიდიული განათლების უზრუნველსაყოფად ისე, რომ ამ პროცესში გამომძიებლები და პროკურორებიც იყვნენ ჩართულნი.<sup>82</sup>

თვისებრივი ინტერვიუების დროს ზოგმა მოსამართლემ ადვოკატების კვალიფიკაცია მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ მნიშვნელოვან პრობლემად დაასახელა.<sup>83</sup> პროკურორმა რუსთავიდან ასევე აღნიშნა, რომ ადვოკატების კვალიფიკაცია მნიშვნელოვანი პრობლემა იყო.<sup>84</sup> პროკურორმა რუსთავიდან განაცხადა, რომ მოსამართლეების კვალიფიკაციაც პრობლემას წარმოადგენდა.<sup>85</sup>

ყველა მოსამართლემ საკმაოდ დადებითად შეაფასა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მათთვის ჩატარებული ტრენინგები, როგორც ხარისხის, ისე ორგანიზების კუთხით. მოსამართლეები ასევე კმაყოფილნი იყვნენ, რომ ტრენინგები მათ სპეციალიზაციას იყო მორგებული და მათ მოთხოვნებს პასუხობდა.<sup>86</sup>

---

<sup>78</sup> კერძო ადვოკატი, ყოფილი პროკურორი, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 34-წლიანი გამოცდილება, თბილისი; კერძო ადვოკატი, სისხლის და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 12-წლიანი გამოცდილება, თბილისი; კერძო ადვოკატი, საერთო სამართალი, მუშაობის 26-წლიანი გამოცდილება, რუსთავი; კერძო ადვოკატი, სისხლის სამართალი, მუშაობის 8-წლიანი გამოცდილება, ბათუმი.

<sup>79</sup> კერძო ადვოკატი, ლექტორი, კერძო და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 30-წლიანი გამოცდილება, თბილისი; საია-ს ადვოკატი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 2-წლიანი გამოცდილება, თბილისი.

<sup>80</sup> საია-ს ადვოკატი, სამოქალაქო სამართალი, მუშაობის 9-წლიანი გამოცდილება, რუსთავი.

<sup>81</sup> იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატი, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 6-წლიანი გამოცდილება, ახალციხე.

<sup>82</sup> კერძო ადვოკატი, საერთო სამართალი, მუშაობის 26-წლიანი გამოცდილება, რუსთავი; საია-ს ადვოკატი, სამოქალაქო სამართალი, მუშაობის 9-წლიანი გამოცდილება, რუსთავი; საია-ს ადვოკატი, სამოქალაქო სამართალი, მუშაობის 9-წლიანი გამოცდილება, რუსთავი.

<sup>83</sup> მოსამართლე, სისხლის და სამოქალაქო სამართალი, მუშაობის 8-წლიანი გამოცდილება, ბათუმი; მოსამართლე, სისხლის სამართალი, მუშაობის 1-წლიანი გამოცდილება, თბილისი.

<sup>84</sup> პროკურორი, მუშაობის 3-წლიანი გამოცდილება, რუსთავი.

<sup>85</sup> პროკურორი, მუშაობის 9-წლიანი გამოცდილება, რუსთავი.

<sup>86</sup> მოსამართლე, სამოქალაქო სამართალი, მუშაობის 7-წლიანი გამოცდილება, ბათუმი; მოსამართლე, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 15-წლიანი გამოცდილება, რუსთავი; მოსამართლე, სისხლის და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 32-წლიანი გამოცდილება, ახალციხე.

კითხვაზე, თუ როგორ შეიძლებოდა იურიდიულ განათლებასთან დაკავშირებით მდგომარეობის გაუმჯობესება, ადვოკატებმა განაცხადეს, რომ მართლმსაჯულების სისტემის ზოგიერთ პროფესიონალს, მაგალითად, გამომძიებლებს, ცოდნა და მომზადება აკლიათ როგორც სამართალში, ისე ფსიქოლოგიაში და საჭიროებენ კვალიფიკაციის ამაღლებას აღნიშნულ და სხვა დაკავშირებულ სფეროებში.<sup>87</sup> ერთმა მოსამართლემ ასევე აღნიშნა, რომ კვალიფიკაციის ნაკლებობა პრობლემას წარმოადგენს გამომძიებლებთან დაკავშირებით, რამდენადაც არასრულყოფილი გამოძიება განაპირობებდა გამამართლებელი განაჩენის გამოტანას არასრული საგამომძიებო ღონისძიებების გამო.<sup>88</sup>

### ინდიკატორი 3: იურიდიული განათლების ხარისხის შეფასება

(დადებითი შეფასებების პროცენტული მაჩვენებელი, პასუხების რაოდენობა მოცემულია ფრჩხილებში)

იურიდიული განათლება აღმოჩნდა ის თემა, სადაც დადებითი შეფასებების ნაკლებობა გამოვლინდა. პროკურორები ყველაზე მეტად პოზიტიურნი იყვნენ არსებულ თეორიულ და პრაქტიკულ იურიდიულ განათლებასთან დაკავშირებით. პროკურორთა ნახევარზე ოდნავ მეტმა გააკეთა დადებითი შეფასება. მოსამართლეებისა და ადვოკატების უმრავლესობამ არ შეაფასა დადებითად ქვეყანაში არსებული თეორიული და პრაქტიკული იურიდიული განათლება.

	მოსამართლეები	ადვოკატები	პროკურორები
იურიდიული განათლების შეფასება - თეორიული ცოდნა	82% (107)	56% (304)	79% (99)
იურიდიული განათლების შეფასება - პრაქტიკული უნარები	97% (108)	63% (309)	96% (102)

\* ინდიკატორების დეტალური აღწერა იხილეთ მეორე დანართში.

\*\* ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ პასუხების გარეშე.

\*\*\* ინდიკატორის გამოთვლებში ინდიკატორის გამოთვლებში კერძო, არასამთავრობო სექტორის და იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატების მონაცემები გაერთიანებულია.

<sup>87</sup> კერძო ადვოკატი, სისხლის და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 12-წლიანი გამოცდილება, თბილისი; საია-ს ადვოკატი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 2-წლიანი გამოცდილება, თბილისი.

<sup>88</sup> მოსამართლე, სისხლის და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 32-წლიანი გამოცდილება, ახალციხე.

#### 4. მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუტების შეფასება

ძირითადი მიგნებები:

- იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები დადებით შეფასებას აძლევენ მათთან უშუალოდ დაკავშირებულ ინსტიტუტებს. მოსამართლეები ყველაზე დადებითად იყვნენ განწყობილნი სასამართლოს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის მიმართ. პროკურორებმა უმაღლესი შეფასება მისცეს პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროს და იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობას. ადვოკატებმა, რომლებიც უმეტესად კრიტიკულები იყვნენ და დადებითად არ აფასებდნენ მართლმსაჯულების ინსტიტუტებს, შედარებით მაღალი შეფასება მისცეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას, არასამთავრობო ორგანიზაციების იურიდიულ დახმარებას და იურიდიული დახმარების სახელმწიფო სამსახურს.
- იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების დიდმა უმრავლესობამ იცის მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუტების საქმიანობის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გარდა.
- იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობა იცნობს იმ ორგანიზაციებს, რომლებიც მათთანაა დაკავშირებული (მაგ., ადვოკატებმა და მოსამართლეებმა იციან ადვოკატთა ასოციაციის შესახებ, ხოლო მოსამართლეებმა - საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის შესახებ). თუმცა, ისინი შეიძლება არ მონაწილეობდნენ მათ საქმიანობაში.
- მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუტებს იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები ძირითადად გამჭვირვალედ მიიჩნევენ.
- ზოგადად ადვოკატები (კერძო, არასამთავრობო და იურიდიული დახმარების სამსახურის) გამჭვირვალობას და აღნიშნული მართლმსაჯულების დაწესებულებების საქმიანობას უფრო მკაცრად აფასებენ, ვიდრე მოსამართლეები და პროკურორები.
- სასამართლოებში საქმეების დიდი რაოდენობა განიხილება ძირითად პრობლემად, რომელიც გავლენას ახდენს სასამართლოების ეფექტურობაზე და უარყოფითად მოქმედებს სისწრაფეზე, ხარისხსა და, უზენაესი სასამართლოს შემთხვევაში, სამართლებრივი გადაწყვეტილებების ერთგვაროვნებაზე.

#### ინფორმირებულობა

იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობამ იცის მართლმსაჯულების სხვადასხვა ინსტიტუტის, მაგალითად, იუსტიციის სამინისტროს, იურიდიული დახმარების სამსახურის, არასამთავრობო ორგანიზაციების იურიდიული დახმარების, სასამართლოების, პროკურატურისა და ადვოკატთა ასოციაციის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. თუმცა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის შესახებ ნაკლები ინფორმაცია ჰქონდათ კერძო ადვოკატებსა (44%) და არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების (53%). მართლმსაჯულების ზოგ დაწესებულებას, როგორებიცაა მოსამართლეთა ასოციაცია და




„ერთობა“ (მოსამართლეთა გაერთიანება), იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები ძირითადად არ იცნობდნენ. გამოწვევისი მოსამართლეები და პროკურორები იყვნენ. მოსამართლეების 90% სრულად ან ძირითადად იცნობდა ასოციაციის საქმიანობას და თითქმის 60% სრულად ან ძირითადად იცნობდა მოსამართლეთა გაერთიანებას „ერთობა“. პროკურორების 45% სრულად ან ძირითადად იცნობდა ასოციაციის საქმიანობას.

მართლმსაჯულების აღნიშნული ინსტიტუტების განხილვისას თვისებრივი ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების დროს, თითქმის ყველა ადვოკატმა და მოსამართლემ განაცხადა, რომ ინფორმირებული იყო ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობის შესახებ. ყველა მოსამართლე, რომელთანაც ინტერვიუ ჩატარდა, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის წევრი იყო. თუმცა, მცირე ნაწილი იცნობდა მის საქმიანობას ან მონაწილეობდა მასში; ასევე მცირე ნაწილი იყო ინფორმირებული მოსამართლეთა გაერთიანების „ერთობა“ საქმიანობის შესახებ.

### *გამჭვირვალობა*

იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ იცნობდნენ მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუტებს, შეაფასეს ამ ინსტიტუტების გამჭვირვალობა. მართლმსაჯულების ინსტიტუტების უმრავლესობა ძირითადად გამჭვირვალედ მიიჩნის თავიანთ საქმიანობაში. თუმცა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამუშაო ძირითადად გაუმჭვირვალედ ან საერთოდ გაუმჭვირვალედ შეფასდა არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების უმრავლესობის (67%), კერძო ადვოკატების ნახევარზე ოდნავ ნაკლების (43%) და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების დაახლოებით მესამედის მიერ (35%). ამასთან ერთად, აღნიშნული სამი ჯგუფიდან ძალზე მცირე რაოდენობამ შეაფასა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამუშაო, როგორც სრულიად გამჭვირვალე (0%, 4% და 9% შესაბამისად). ამასთანავე, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების ნახევარზე მეტი (54%) იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ძირითადად გამჭვირვალედ მიიჩნევს. მოსამართლეებმა იუსტიციის უმაღლესი საბჭო ყველაზე დადებითად შეაფასეს გამჭვირვალობის კუთხით, 95 პროცენტმა ის შეაფასა, როგორც ძირითადად ან სრულიად გამჭვირვალე. პროკურორების ორმა მესამედმა (67%) ასევე აღნიშნა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ძირითადად ან სრულიად გამჭვირვალე იყო.

სასამართლოები შეფასდნენ, როგორც ძირითადად გამჭვირვალე იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობის მიერ, მოსამართლეების გარდა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სასამართლო სრულიად გამჭვირვალეა.




პროკურორები წარმოადგენდნენ რესპონდენტების ერთადერთ ჯგუფს, რომელიც პროკურატურას სრულიად გამჭვირვალედ მიიჩნევს (72%). პროკურატურა ძირითადად გამჭვირვალედ შეაფასეს მოსამართლეების 57 პროცენტმა და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების 49 პროცენტმა. კერძო ადვოკატების (40%) და არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების (54%) დიდი რაოდენობა და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების (35%) ერთ მესამედზე მეტი აცხადებს, რომ პროკურატურის საქმიანობა ძირითადად გაუმჭვირვალეა.

მოსამართლეთა ასოციაციის და „ერთობის“ გამჭვირვალეობის შესახებ კითხვა მხოლოდ იმ რესპონდენტებს დაუსვეს, ვინც იცის მათი საქმიანობის შესახებ, მაგრამ რესპონდენტების უმრავლესობის (მოსამართლეების გარდა) პასუხი იყო „არ ვიცი“.


*საქმიანობის შეფასება*

შესაბამისი დაწესებულებების შესახებ ინფორმირებული რესპონდენტების ნახევარზე მეტმა მართლმსაჯულების ინსტიტუტების საქმიანობას საშუალოზე მაღალი შეფასება მისცა (საშუალო ან კარგი). კერძო, არასამთავრობო და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების დაახლოებით 5-10 პროცენტმა განაცხადა, რომ ამ დაწესებულებების

საქმიანობა ძალიან კარგი იყო. მსგავსი შეფასება გააკეთა პროკურორებისა და მოსამართლეების 20-50 პროცენტმა (შესაფასებელი ინსტიტუტის მიხედვით); ინსტიტუტების უმრავლესობის საქმიანობა შეფასდა, როგორც ცუდი ან ძალიან ცუდი იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების 5 პროცენტზე ნაკლების მიერ. ადვოკატების ნაწილმა უარყოფითად შეაფასა ზოგიერთი ინსტიტუტის საქმიანობა. მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების 39 პროცენტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა უარყოფითად შეაფასა; არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატებიდან არცერთმა არ შეაფასა პროკურატურის საქმიანობა, როგორც კარგი ან ძალიან კარგი; 27 პროცენტმა პროკურატურის საქმიანობა ცუდად, ხოლო 19 პროცენტმა ძალიან ცუდად შეაფასა.<sup>89</sup>



<sup>89</sup> მონაცემები განსხვავდება მეოთხე ინდიკატორში წარმოდგენილი მონაცემებისგან, რადგან: (1) ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ პასუხების გარეშე; (2) ინდიკატორის გამოთვლებში კერძო, არასამთავრობო სექტორის და იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატების მონაცემები გაერთიანებულია. ინდიკატორების დეტალური აღწერა იხილეთ მეორე დანართში.



თვისებრივი კვლევა შეეცადა ამ საკითხის ჩაღრმავებას და იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს ჰკითხა, მართლმსაჯულების რომელი ინსტიტუტი საჭიროებდა გაუმჯობესებას ყველაზე მეტად. კვლევის თითქმის ყველა მონაწილემ აღნიშნა გარკვეული ტიპის ცვლილებების საჭიროება მითითებული ინსტიტუტებიდან თითოეულში. ერთმა მოსამართლემ განაცხადა, რომ ცვლილებები აუცილებელი და მისასალმებელია და დასძინა, რომ სასამართლო პროცესის ჩანაწერების წარმოების მოთხოვნის ამოქმედების შემდეგ მოსამართლეები უფრო მეტად ჩადგნენ „ფორმაში“ და უფრო მეტ ყურადღებას იჩენენ.<sup>90</sup>

ადვოკატებისა და მოსამართლეების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ განსახილველი საქმეების დიდი მოცულობა და მოსამართლეების არასაკმარისი რაოდენობა დიდ პრობლემას წარმოადგენს, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს გადაწყვეტილებების ხარისხზე (შაბლონური გადაწყვეტილებები, არასაკმარისი დასაბუთება) და აჭიანურებს საქმეების გადაწყვეტის პროცესს. ადვოკატების ნაწილმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ მსგავს პრობლემას უზენაეს სასამართლოშიც ჰქონდა ადგილი, სადაც საქმეების მხოლოდ მცირე რაოდენობას იღებდა და ამგვარად ვერ უზრუნველყოფდა განმარტებითი გადაწყვეტილებების საკმარის რაოდენობას, რაც ხელს შეუწყობდა სასამართლოებს შორის ერთგვაროვანი პრაქტიკის

<sup>90</sup> მოსამართლე, სისხლის და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 4-წლიანი გამოცდილება, ახალციხე.

ჩამოყალიბებას.<sup>91</sup> პროკურორმა ბათუმიდან აღნიშნა, რომ უზენაესი სასამართლოს პასიური როლი უარყოფით გავლენას ახდენს კანონის აღქმაზე: გასული რამდენიმე წლის განმავლობაში სასამართლო წელიწადში მხოლოდ სამ ან ოთხ გადაწყვეტილებას გამოსცემდა. ამდენად, დანაშაულის აღქმა არაერთგვაროვანია სხვადასხვა სასამართლოში.<sup>92</sup> პროკურორებმა აღნიშნეს, რომ სასამართლოების ასეთი არაერთგვაროვანი პრაქტიკა შეიძლება, შეფასდეს, როგორც მართლმსაჯულების სისტემის პრობლემა.<sup>93</sup>

ზოგმა ადვოკატმა ასევე პრობლემურად შეაფასა მოსამართლეების დანიშვნის პროცესი, იმის ხაზგასმით, რომ მოსამართლეების კვალიფიკაცია საკმარისად მაღალი არ არის და ნეპოტიზმთან ან კორუფციასთან დაკავშირებული პრობლემები დანიშვნის პროცესში განსაკუთრებით უარყოფით გავლენას ახდენს სასამართლოზე.<sup>94</sup> ზოგმა ადვოკატმა ასევე განაცხადა, რომ მოსამართლეები საკმარისად ჩართულები არ არიან გადაწყვეტილებების წერილობით მომზადებაში და ამ დოკუმენტებს სასამართლოს პერსონალი ამზადებს, საამისოდ მათი საექვო კვალიფიკაციის მიუხედავად.<sup>95</sup>

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ადვოკატებმა აღნიშნეს, სასამართლო მედიაციის პასიური როლი იყო. ადვოკატების ნაწილმა მიუთითა, რომ ამ ინსტიტუტის გააქტიურება საქმეების რაოდენობას შეამცირებდა, უფრო სწრაფ მართლმსაჯულებას უზრუნველყოფდა და შესაძლებელს გახდიდა მხარეთა შორის კონსენსუსის მიღწევას.<sup>96</sup>

რამდენიმე ადვოკატმა ხაზი გაუსვა სისტემურ პრობლემებს პროკურატურის მუშაობასთან დაკავშირებით ისეთ საქმეებზე, სადაც ნაკლებად მკაცრი სანქციების გამოყენება შესაძლებელი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, სასჯელი, რომელიც კანონით გათვალისწინებულ მინიმალურ სანქციაზე ნაკლებია, შეიძლება, გამოიყენონ მხოლოდ საპროცესო შეთანხმებისას. პრაქტიკაში ასეთი გარიგება შეიძლება, მხოლოდ გენერალური პროკურატურის თანხმობით, რომელიც სრულად არ არის ინფორმირებული

---

<sup>91</sup> კერძო ადვოკატი, საერთო სამართალი, მუშაობის 15-წლიანი გამოცდილება, ბათუმი; კერძო ადვოკატი, ყოფილი მოსამართლე, საერთო სამართალი, მუშაობის 33-წლიანი გამოცდილება, ახალციხე.

<sup>92</sup> პროკურორი, 13-წლიანი გამოცდილებით, ბათუმიდან.

<sup>93</sup> პროკურორი, მუშაობის 3-წლიანი გამოცდილება, ბათუმი; პროკურორი, მუშაობის 13-წლიანი გამოცდილება, ბათუმი.

<sup>94</sup> კერძო ადვოკატი, ლექტორი, კერძო და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 30-წლიანი გამოცდილება, თბილისი; ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) ადვოკატი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 3-წლიანი გამოცდილება, თბილისი; კერძო ადვოკატი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 2-წლიანი გამოცდილება, ბათუმი; კერძო ადვოკატი, ყოფილი მოსამართლე, საერთო სამართალი, მუშაობის 33-წლიანი გამოცდილება, ახალციხე.

<sup>95</sup> საია-ს ადვოკატი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 2-წლიანი გამოცდილება, თბილისი; ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) ადვოკატი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 3-წლიანი გამოცდილება, თბილისი.

<sup>96</sup> კერძო ადვოკატი, სისხლის სამართალი, მუშაობის 8-წლიანი გამოცდილება, ბათუმი; საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს ადვოკატი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, მუშაობის 2-წლიანი გამოცდილება, ბათუმი.

საქმის ან ბრალდებულის პიროვნების შესახებ, რასაც საკმაოდ მკაცრი და ხისტი მიდგომა შეიძლება, მოჰყვეს მისი მხრიდან.<sup>97</sup>

ინტერვიუების დროს რამდენიმე მოსამართლემ და პროკურორმა განაცხადა, რომ ადვოკატების კვალიფიკაცია საკმარისად მაღალი არ იყო. ასევე აღინიშნა, რომ ისეთი ინსტიტუტი, როგორცაა საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, მისი წევრების კვალიფიკაციის ამაღლებაზე ან სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესებაზე (საკონსტიტუციო მოთხოვნებით და ა.შ.)<sup>98</sup> ზრუნვის ნაცვლად ხშირად ჩართულია მართლმსაჯულების სისტემის დისკრედიტაციაში.

---

<sup>97</sup> კერძო ადვოკატი, ყოფილი მოსამართლე, საერთო სამართალი, მუშაობის 33-წლიანი გამოცდილება, ახალციხე; კერძო ადვოკატი, სისხლის სამართალი, მუშაობის 8-წლიანი გამოცდილება, ახალციხე.

<sup>98</sup> მოსამართლე, სისხლის და სამოქალაქო სამართალი, მუშაობის 8-წლიანი გამოცდილება, ბათუმი.

**ინდიკატორი 4: მართლმსაჯულების ინსტიტუტების საქმიანობის შეფასება**

(დადებითი შეფასებების პროცენტული მაჩვენებელი, პასუხების რაოდენობა მოცემულია ფრჩხილებში)

სასამართლო პროცესის მონაწილეები დადებით შეფასებას აძლევენ მათთან უშუალოდ დაკავშირებულ ინსტიტუტებს. მოსამართლეები ყველაზე დადებითად სასამართლოებს, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, იუსტიციის უმაღლეს სკოლასა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციას აფასებენ. პროკურორებმა უმაღლესი შეფასებები პროკურატურას, იუსტიციის სამინისტროსა და იურიდიული დახმარების სამსახურს მისცეს. ადვოკატებმა, რომლებიც ყველაზე მეტად კრიტიკულები იყვნენ და ზოგადად დადებითად არ შეაფასეს მართლმსაჯულების ინსტიტუტები, უმაღლესი შეფასება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას, არასამთავრობო ორგანიზაციების იურიდიულ დახმარებასა და იურიდიული დახმარების სახელმწიფო სამსახურს მისცეს.

	მოსამართლეები	ადვოკატები	პროკურორები
იუსტიციის სამინისტრო	78% (104)	47% (300)	99% (96)
იუსტიციის უმაღლესი საბჭო	88% (108)	22% (275)	67% (81)
იუსტიციის უმაღლესი სკოლა	88% (106)	37%* (232)	70%* (76)
იურიდიული დახმარების სამსახური (LAS)	74% (96)	64% (270)	85% (97)
არასამთავრობო ორგანიზაციების იურიდიული დახმარების სამსახურები	73%* (85)	66% (278)	65%* (66)
საქართველოს სასამართლოები	94% (105)	40% (303)	79% (100)
პროკურატურა	61% (92)	23% (275)	100% (99)
საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია	47% (99)	73% (304)	62% (92)
საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია	83% (104)	39%* (179)	69%* (54)
მოსამართლეთა ასოციაცია „ერთობა“	62%* (78)	36%* (110)	62%* (39)



*\* რესპონდენტთა წილი, რომლებმაც უპასუხეს „არ ვიცი“ ან თავი შეიკავეს პასუხის გაცემისგან, 20%-ს აღემატება.*

*\*\* ინდიკატორების დეტალური აღწერა იხილეთ მეორე დანართში.*

*\*\*\* ინდიკატორის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ პასუხების გარეშე.*

*\*\*\*\* ინდიკატორის გამოთვლებში ინდიკატორის გამოთვლებში კერძო, არასამთავრობო სექტორის და იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატების მონაცემები გაერთიანებულია.*

---

## დასკვნა

კვლევამ აჩვენა, რომ მართლმსაჯულების სისტემის გარკვეულ ასპექტებს იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები განსხვავებულად ხედავენ და აფასებენ. პროკურორები და მოსამართლეები, რომლებიც სახელმწიფოს წარმომადგენენ, უფრო დადებითად არიან განწყობილნი მართლმსაჯულების ინსტიტუტებისა და სისტემის მიმართ. შესაბამისად, ისინი განსაკუთრებით დადებითად აფასებენ საკუთარი სამსახურების - პროკურატურისა და სასამართლოების საქმიანობას. ადვოკატთა მოსაზრებები მართლმსაჯულების სისტემის შესახებ განსხვავებულია: არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების შეფასებები ყველაზე ნაკლებად პოზიტიურია, კერძოდ, უმცირესობების მიმართ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით.

ადვოკატები თვლიან, რომ სისხლის სამართალი და პრაქტიკა არ უზრუნველყოფს მხარეთა ბალანსს, პროკურორებს საპირისპირო აზრი აქვთ, ხოლო მოსამართლეთა შეხედულებები გაიყო. მეორეს მხრივ, მიიჩნევა, რომ სამოქალაქო და უმეტესწილად ადმინისტრაციული სამართალი სასამართლოში მხარეთა თანასწორობას უზრუნველყოფს. ბევრი ადვოკატის აზრით, პრობლემა, რომელიც მხარეთა თანასწორობას უშლის ხელს, პროკურატურისთვის მინიჭებული უფლებაა, მოიპოვოს და სასამართლოს წარუდგინოს გარკვეული მტკიცებულებები.

იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს შორის ზოგ საკითხზე უფრო მეტი კონსენსუსი იყო მიღწეული. თითქმის ყველა რესპონდენტი თანხმდება, რომ სწრაფი სასამართლოს არარსებობა სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს მართლმსაჯულების პროცესისთვის, რაც ძირითადად გამოწვეულია მოსამართლეების რაოდენობის სიმცირითა და დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზების არარსებობით სასამართლოს ფარგლებს გარეთ. კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც იურიდიული პროფესიის ბევრმა წარმომადგენელმა წამოჭრა, მართლმსაჯულების სისტემის სხვადასხვა წარმომადგენლის კვალიფიკაციის საკითხია. მოსამართლეების შერჩევის შემთხვევაში ზოგმა ახსენა ნეპოტიზმი შერჩევის პროცესში,

ხოლო ადვოკატების, პროკურორებისა და სასამართლოს სხვა პერსონალის შემთხვევაში ყველაზე დიდი წუხილი პრაქტიკული ცოდნისა და უნარების არქონა იყო.

მარგინალიზებული ჯგუფების მიმართ მოპყრობას იურიდიული სფეროს ბევრი წარმომადგენელი მთავარ პრობლემად არ მიიჩნევს. განსხვავებული შეხედულება აქვთ არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატებს, რომლებიც დიდ განსხვავებას ხედავენ მარგინალიზებული ჯგუფების მიმართ მოპყრობაში მართლმსაჯულების რიგი ინსტიტუტების მიერ. მარგინალიზებული ჯგუფების მიმართ მოპყრობის თემაზე წამოჭრილი უმნიშვნელოვანესი საკითხი პოლიციის რეფორმა იყო, რომელიც სარგებელს მოუტანს როგორც უმცირესობებს, ისე ქალებს და ზოგადად მოსახლეობას. სასამართლოების ფინანსური ხელმისაწვდომობა ადვოკატის ასაყვანად საჭირო საფასურის ჩათვლით, მტკიცებულებების შეგროვება და დოკუმენტების გაგზავნა ასევე მნიშვნელოვან ბარიერად ჩაითვალა იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების მიერ.

იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებმა იციან მართლმსაჯულების ინსტიტუტების უმეტესობის შესახებ და ძირითადად დადებითად აფასებენ მათი საქმიანობის გამჭვირვალობას. თუმცა, ზოგიერთი ინსტიტუტის საქმიანობა, როგორებიცაა იუსტიციის უმაღლესი საბჭო, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია და პროკურატურა არ შეფასდა ისევე დადებითად, როგორც დანარჩენი ინსტიტუტების.

ზოგადად შეიძლება დავასკვნათ, რომ კანონმდებლობისა და პრაქტიკის რეფორმა აუცილებლად მიიჩნევა ბევრ სფეროში, განსაკუთრებით სისხლის სამართლის საპროცესო სფეროში, კერძოდ მტკიცებულებების შეგროვებასთან, წარდგენასთან და სხვა პროცედურულ უპირატესობებთან დაკავშირებით, რომლებიც პროკურატურას აქვს მინიჭებული. ასევე აღინიშნა იურისტების კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროება მართლმსაჯულების სისტემის ეფექტურობის ასამაღლებლად.

## დანართები

### დანართი 1 – მეთოდოლოგია

საქართველოში „კანონის უზენაესობის მხარდაჭერის (PROLoG)“ პროგრამის ფარგლებში 2015 წლის დეკემბრიდან 2016 წლის მაისამდე პერიოდში კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა (CRRC-საქართველომ) ჩატარა საბაზისო კვლევა. კვლევა მოიცავდა რაოდენობრივ და თვისებრივ კომპონენტებს. რაოდენობრივი კომპონენტის ფარგლებში ჩატარდა იურიდიული სფეროს პროფესიონალების გამოკითხვა: პირისპირ ინტერვიუები (კომპიუტერით პერსონალური ინტერვიუების მეთოდით - CAPI) ადვოკატებთან და მოსამართლეებთან, ასევე, ონლაინ თვითადმინისტრირებადი გამოკითხვა პროკურორებთან. თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში ჩატარდა ფოკუს ჯგუფები ადვოკატებთან და თვისებრივი ინტერვიუები მოსამართლეებთან და პროკურორებთან. PROLoG-ის ერთ-ერთი მიზნიდან გამომდინარე, რომელიც მარგინალიზებული მოქალაქეებისთვის, კერძოდ, ქალებისა და ეთნიკური, რელიგიური და სექსუალური უმცირესობებისთვის, მართლმსაჯულებასთან წვდომის გაუმჯობესებას გულისხმობს, კვლევა ფოკუსირებული იყო თბილისზე და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სამ რეგიონზე: აჭარა, ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი. კვლევა ეხებოდა ოთხ თემას:

- სასამართლოში მხარეებს შორის ეფექტური ბალანსი;
- მართლმსაჯულების სისტემის დაცვის მექანიზმით სარგებლობის შესაძლებლობა მოქალაქეებისთვის;
- სამართლებრივი განათლების ხარისხი; და
- მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუტების საქმიანობა.

#### *რაოდენობრივი კომპონენტი: იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების გამოკითხვა*

იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების გამოკითხვა მოიცავდა სასამართლო პროცესის მონაწილე სამივე მხარეს: ადვოკატებს (კერძო ადვოკატებს, არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატებს და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებს), საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებს და მოქმედ პროკურორებს. ადვოკატებთან და მოსამართლეებთან ჩატარდა პირისპირ ინტერვიუები CAPI მეთოდით, პროკურორებთან - ონლაინ თვითადმინისტრირებადი გამოკითხვა. სამივე შემთხვევაში გამოკითხვა ერთი და იგივე ინსტრუმენტით ჩატარდა

#### ადვოკატების გამოკითხვა

ადვოკატების გამოკითხვა ჩატარდა 2015 წლის 22 დეკემბრიდან 2016 წლის 31 იანვრამდე პერიოდში. მთლიანობაში გამოიკითხა 310 ადვოკატი (204 კერძო ადვოკატი, არასამთავრობო

ორგანიზაციების 49 ადვოკატი და იურიდიული დახმარების სამსახურის 57 ადვოკატი). არგამოპასუხების მაჩვენებელი ყველაზე მაღალი კერძო ადვოკატებს შორის (41%) იყო.

ადვოკატების შესარჩევად CRRC-საქართველომ გამოიყენა შემთხვევითი შერჩევის მეთოდი. ამასთან ერთად, შეძლებისდაგვარად რესპონდენტები შეირჩნენ კვლევისთვის საინტერესო რეგიონებიდან (აჭარა, ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი). კერძო ადვოკატების შერჩევის ჩარჩო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში რეგისტრირებული ყველა ადვოკატი იყო (4069 ადვოკატი 2015 წლის 19 ოქტომბრის მდგომარეობით). საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დახმარებით, CRRC-საქართველომ შემთხვევითობის პრინციპით შეარჩია 500 ადვოკატი (მარტივი შემთხვევითი შერჩევის მეთოდი ექსელის პროგრამის “rand()” ფუნქციის გამოყენებით).

არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატების შერჩევის ჩარჩო იყო შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებში იურიდიული დახმარების მიმართულებით მომუშავე ადვოკატების ჩამონათვალი: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ადამიანის უფლებების განათლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), კონსტიტუციის 42-ე მუხლი, ადამიანის უფლებების ცენტრი (HRC) და საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო (TI). არასამთავრობო ორგანიზაციებში იურიდიული დახმარების გაწევში ჩართულია მხოლოდ 55 ადვოკატი. ამდენად, CRRC-საქართველომ სცადა ყველა მათგანის გამოკითხვა შერჩევის გარეშე.

- *„ყოველწლიურად, საქმეთა რაოდენობა, იზრდება საკამოდ მაღალი პროცენტებით და არცერთი წელი არ ყოფილა ისეთი, რომ შემცირებულიყო, რაც ბუნებრივია მოითხოვს მოსამართლეთა რაოდენობის ზრდასაც იმისათვის, კიდევ ერთხელ გავმეორდები, რომ სწრაფი, ხარისხიანი და ეფექტური მართლმსაჯულება მივაწოდოთ ხალხს.“ (მოსამართლე, სამოქალაქო სამართალი, 7-წლიანი გამოცდილება, ბათუმი);*

- „საქმეთა ოდენობამ მოიმატა ძალიან ყველა სფეროში, მოსამართლეთა ოდენობა იგივეა და ხშირ შემთხვევაში შეჩერებული აქვთ ზოგიერთ მოსამართლეებს უფლებამოსილება და ეს იწვევს იმას, რომ მე შეიძლება უკვე ხარისხზე იმოქმედოს ამან და არ იყოს ხარისხიანი გადაწყვეტილება.“ (მოსამართლე, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, 15-წლიანი გამოცდილება, რუსთავი);
- „მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დიდ შენობაში ვიმყოფებით არ არის საკმარისი სხდომის დარბაზები, რაც, ასე ვთქვათ, კვირაში ორი დღე, რომ აქვს მოსამართლეს სხდომის დარბაზი არ არის საკმარისი იმისათვის რათა ასი საქმე რომელიც პირობითად აწერია მას ჩანიშნოს, ასე ვთქვათ, მოკლე პერიოდულობით და ინტენსიურად ყველა საქმის გახილვა შეძლოს.“ (მოსამართლე, სისხლის სამართალი, 1-წლიანი გამოცდილება, თბილისი);
- „მე ვთვლი ეხლაც, რომ გარკვეული და სერიოზული ნაბიჯები გადადგმულია ამ მიმართულებით, რომ საზოგადოებაში ამაღლდეს მართლმსაჯულებისადმი ნდობა და სასამართლო ხელისუფლებისადმი ნდობა, მაგრამ ჯერ არ ვართ იმ საფეხურზე, რომელიც ასე ვთქვათ, თავს კმაყოფილად გვაგრძნობინებდა.“ (მოსამართლე, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, 10-წლიანი გამოცდილება, რუსთავი);
- „ჩემი გადასახედიდან... ვისურვებდი, რომ უფრო კვალიფიციური გამოძიება ყოფილიყოს, განსაკუთრებით სისხლის სამართლის საქმეებში...პოლიციისა და პროკურატურისაც.“ (მოსამართლე, სისხლის და ადმინისტრაციული სამართალი, 32-წლიანი გამოცდილება, ახალციხე);

გასაუმჯობესებელი სფეროების განხილვისას მოსამართლეებმა ისაუბრეს ადვოკატებისა და პროკურატურის შესახებ და აღნიშნეს, რომ ადვოკატებს კვალიფიკაცია აკლიათ. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს, კანონების ხშირი ცვლილება ყოფილიყო. მათი თქმით, აშკარა იყო ადვოკატებისთვის დამატებითი ტრენინგების საჭიროება. რადგანაც პროკურატურა სახელმწიფო სტრუქტურას წარმოადგენდა, იქ ტრენინგები უფრო ხშირად ტარდებოდა და პროკურორებს უფრო მაღალი კვალიფიკაცია ჰქონდათ. გაუმჯობესების მიმართულებით კიდევ ერთი რეკომენდაცია რუსთავის ერთმა მოქალაქემ აღნიშნა, დამნაშავეების რესოციალიზაციის მნიშვნელობა დასჯის მკაცრი პოლიტიკის ნაცვლად.

- „არის შემთხვევები, როდესაც რეალურად ამ პრობლემის წინაშე დადგეს სასამართლო, რომ გარკვეულწილად არაკვალიფიციურობის გამო კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს, თუნდაც ბრალდებულის უფლების დაცვა, ეს არ არის მასიური, თუმცა გარკვეულწილად ეს პრობლემა არსებობს და ვინაიდან კანონმდებლობაში ცვლილებები შედის საკმაოდ სწრაფად ... რიგი ინსტიტუტები იცვლება და იხვეწება, ამ ყველაფერს ჭირდება ადეკვატური, ასე ვთქვათ, პასუხი იმ მიმართებით, თუნდაც ადვოკატთა ასოციაციის მხრიდან, რომ მოხდეს მოკლე ვადებში ამ ადვოკატების

დატრეინინგება.“ (მოსამართლე, სისხლის სამართალი, 1-წლიანი გამოცდილება, თბილისი)

- „ხისტი პოლიტიკა აქვს ჩვენ სამართალდამცავ ორგანოებს აღებული, თუმცა შეიძლება ეს საზოგადოების მოთხოვნაც ასეთია... ჩვენთან ეხლა მაგალითად, რა შუამდგომლობებიც შემოდის, არიან ძალიან კატეგორიულები. ასე ვთქვათ, ნულოვანი ტოლერანტობაა და ა.შ. ამას ვგულისხმობ ანუ მიდგომები მინდა, რო იყოს უფრო სხვაგვარი. იყოს ვთქვათ, მე მაგალითად გაცნობილი ვარ როგორც ევროპულს, ასევე ამერიკულ მიდგომებს. იქ უფრო პოლიტიკა მიდის, ვთქვათ, კრიმინალის რესოციალიზაციაზე, კრიმინალური პიროვნების და არა მის დასჯაზე. ამას ჩვენ თუ მივაღწევთ, ეს ნამდვილად ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების იმ დონეზე ყოფნას, რაზედაც უნდა იყოს.“ (მოსამართლე, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, 10-წლიანი გამოცდილება, რუსთავი).

პროკურორებმა ოთხივე ქალაქში აღნიშნეს, რომ დღესდღეობით მართლმსაჯულების სისტემა ცუდ მდგომარეობაში არ არის.<sup>105</sup> ახალგაზრდა პროკურორები საუბრობდნენ უკანასკნელ წლებში მიღწეული გაუმჯობესებისა და მართლმსაჯულების სისტემის უფრო მეტი დამოუკიდებლობის შესახებ. მართლმსაჯულების სისტემასთან დაკავშირებული გასაუმჯობესებელი სფეროების შესახებ საუბრისას პროკურორებმა რუსთავიდან აღნიშნეს პოლიციის რეფორმის აუცილებლობა და მათ თანამშრომლებს შორის ცოდნის დონის ამაღლების საჭიროება იმისათვის, რომ ადგილი აღარ ჰქონოდა უფლებამოსილების გადამეტების შემთხვევებს. ამ კონტექსტში ხარვეზად დასახელდა ხელფასების კატეგორიზაცია, რადგან დაბალი ხელფასები რეგიონებში პოლიციის თანამშრომლების მოტივაციას აზიანებდა. პროკურორმა ბათუმიდან აღნიშნა პოლიციის უფრო მეტი აქტიურობის აუცილებლობა დანაშაულის პრევენციის თვალსაზრისით. მან გააკრიტიკა უზენაესი სასამართლოს უფრო ფორმალური როლი, კერძოდ, ის ფაქტი, რომ არ არსებობდა საერთო მიდგომა დანაშაულის არსის გარკვევის მიმართ, ამდენად, უზენაესი სასამართლო მეტად აქტიური უნდა ყოფილიყო პრაქტიკის განვითარების თვალსაზრისით. პროკურორმა ახალციხიდან ისაუბრა გაუქმებული ელექტრონული კავშირის შესახებ პროკურატურასა და სასამართლოებს შორის, რამაც დროისა და რესურსების დამატებითი ხარჯვა გამოიწვია.

## თანასწორობა და ბალანსი მხარეებს შორის სასამართლოში

<sup>105</sup> პროკურორების ციტატები არ არის მოყვანილი, რადგან აუდიოჩანაწერი არ გაკეთებულა. მხოლოდ ხელნაწერი შენიშვნები გაკეთდა.



ადვოკატები რუსთავიდან შეთანხმდნენ, რომ სამოქალაქო სამართალში მხარეებს შორის ბალანსი დაცული იყო როგორც კანონში, ისე პრაქტიკაში. ეს ჭეშმარიტად დამოკიდებული იყო მხარეებზე, მათ მტკიცებულებებზე და საქმის წარმოდგენაზე. თბილისში, ბათუმსა და ახალციხეში მსგავსი შეხედულებები გამოითქვა. რაც შეეხება სისხლის სამართალს, რუსთავში ადვოკატების თქმით, ბალანსი აქ უფრო ფორმალური იყო. ისინი აღნიშნავენ, რომ მეორე მხარეს [ბრალდების მხარეს] უფრო მეტი ბერკეტი ჰქონდა. ადვოკატებს ახლა ჰქონდათ მტკიცებულების ამოღების უფლება, მაგრამ მხოლოდ სასამართლოს შუამდგომლობით (სასამართლო მტკიცებულებების მოპოვებას ავალებდა გამომძიებელს). გამომძიებელი კვლავ ბრალდების მხარეს იყო, ამდენად, ბალანსი დაცული არ იყო. გარდა ამისა, არსებობდა კანონი, რომლის თანახმადაც გამომძიებლის სამუშაოს შეფერხება დასჯადი იყო, მაგრამ მსგავსი ღონისძიება გათვალისწინებული არ იყო ადვოკატის საქმიანობის შეფერხების შემთხვევაში. თბილისში სისხლის სამართლის კანონმდებლობის ერთ სუსტ მხარედ აღინიშნა ადვოკატებისთვის ვიდეოჩანაწერის მოთხოვნის აკრძალვა პერსონალური ინფორმაციის დაცვის მოსაზრებებიდან გამომდინარე, სასამართლოს მეშვეობითაც კი. მხოლოდ პროკურორებს შეეძლოთ აღნიშნულის განხორციელება. ახალციხეში სისხლის სამართლის კანონმდებლობა გააკრიტიკეს მოწმეების დაკითხვის პროცესში მხარეების თანასწორობის თვალსაზრისით იმ შემთხვევებში როცა მოწმეები უარს აცხადებდნენ.

- *„მე, მაგალითად, არ მაქვს მაგასთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა სამოქალაქოზე, სადაც წარმომადგენლობას ვახორციელებ, რო შეჯიბრებითობა დარღვეულიყო და თანასწორობის პრინციპი... სისხლში მე მიმაჩნია, ფორმალურია მხარეთა თანასწორობა, რეალობაში და პრინციპში. კანონში კი წერია, მაგრამ რეალიზებას ვერ აკეთებ... მტკიცებულებათა მოპოვებას ხო, გარკვეული ხარჯიც უნდა. ძალიან დიდი...ექსპერტიზა, ვერა, ვერ ვაკეთებთ, გამორიცხულია.“ (კერძო ადვოკატი, საერთო სამართალი, 26-წლიანი გამოცდილება, რუსთავი);*
- *„ჩემი აზრით, რაც შეიძლება, სამოქალაქოში... მართლაც დაცულია. მანდ უკვე ნებაზეა, მხარეებზეა დამოკიდებული. შენ თვითონ როგორ და რანაირად მოიპოვებ და რანაირად წარადგენ ამ მტკიცებულებებს და რაც შეეხება სისხლში, ნაწილობრივ, შეიძლება ითქვას დაცული არის ბალანსი. ნაწილობრივ. უფრო მეტი ბერკეტი რასაკვირველია ისევ ბრალდების მხარესაა აქვს. იმიტომ, რომ თუნდაც იქ ჩხრეკა ამოღებასთან დაკავშირებით არ ჭირდება სასამართლოში მისვლა და თვითონ გადაუდებლობითაც შეუძლია აღნიშნული მოქმედების განხორციელება. ერთადერთი ადვოკატსაც მოგვეცა, ასე ვთქვათ ამოღების უფლება, მაგრამ უნდა მივმართო სასამართლოს, სასამართლომ უნდა გასცეს განჩინება და სასამართლო, ნახეთ, რო ავიღებ განჩინებას გამომძიებელს ავალებს. ოღონდ მართალია იმ განყოფილების, ის გამომძიებელი არ უნდა იყოს რომელი გამომძიებელიც მონაწილეობს ამ საქმეში, მაგრამ მაინც გამომძიებელია და მაინც ბრალდების მხარე არის, ხო. აი, იმ ნაწილში არის ასე ვთქვათ ბალანსი დარღვეული. გარდა მაგისა, მოდით ავილოთ*

კანონმდებლობითაც. ხელი შეუშალეთ გამომძიებელს საგამომძიებო მოქმედებების ჩატარებაში. ისჯება თუ არა საგამომძიებო მოქმედებაზე ხელის შეშლა? არის ერთი ესეთი მუხლი, თავის საქმიანობაზე ხელის შეშლა. ადვოკატის საქმიანობაზე ხელის შეშლა არ ისჯება. თუნდაც მანდ არის დარღვეული ბალანსი.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატი, საერთო სამართალი, სისხლის სამართალი, 12-წლიანი გამოცდილება, რუსთავი);

- „სამოქალაქოსთან მიმართებაში ეხლა საჯარო ინტერესი ნაკლებია, ორი მხარის დავაა და ძირითადად აქ ყოველთვის მეტად არის თანასწორობა დაცული და მოსამართლევ ნაკლებად არის დაინტერესებული მხარებს რაღაცა ესე ვთქვათ პრივილეგია მიანიჭოს.“ (კერძო ადვოკატი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, 2-წლიანი გამოცდილება, ახალციხე);
- „სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ სამართალში კოდექსი მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს თანასწორობას. ეს თქვენზეა დამოკიდებული დროულად მოითხოვოთ დოკუმენტები... თქვენ მოგიჩვენოთ ურთიერთობა თქვენს მსგავს მოქალაქესთან.“ „სამოქალაქოში და ადმინისტრაციულში ასე თუ ისე გაძლევს, იქ რა რის იცი, მთავრია შენ მიმართო თავის დროზე, ... ასეთი გამოთქმაა, დიდ მახინასთან არ გაქვს საქმე, შენისთან მოქალაქესთან.“ (კერძო ადვოკატი, საერთო სამართალი, ყოფილი პროკურორი, ყოფილი მოსამართლე, 32-წლიანი გამოცდილება, ბათუმი);
- „სასამართლო ცდილობს, რომ არ დაარღვიოს ბალანსი ... ეხლა მე უფრო ხშირად ადმინისტრაციულ და სამოქალაქოში ვარ და მე არ შემხვედრია მაგალითად, პირად პრაქტიკაში, რო სასამართლოს ეს ბალანსი დაერღვიოს.“ (კერძო ადვოკატი, ლექტორი, მუშაობდა სასამართლოში, პროკურატურაში, კერძო და ადმინისტრაციული სამართალი, 30-წლიანი გამოცდილება, თბილისი);
- „აი, დაუშვათ ერთი პრობლემა ვიდეო თვალის ჩანაწერის ხო, რომელიც არის პერსონალურ მონაცემებში ისა, თურმე ადვოკატს არ შეუძლია, თუნდაც სასამართლოს მეშვეობით ამის გამოთხოვა და უნდა გამოითხოვოს მაინც და მაინც პროკურორმა და თუ შენ მიმართავ პროკურორს და პროკურორი უარს გეუბნება, შენ ვერ მოიპოვებ დაცვის მხარე ხარ შენ.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატი, სისხლის სამართალი, 6-წლიანი გამოცდილება, თბილისი);
- „აი, ვისაუბროთ კარგი, მოწმის დაკითხვაზე. გამოკითხვაზე უფრო სწორად. მოწმე შეიძლება გამოკითხოს ორივე მხარემ რა თქმა უნდა, მაგრამ თუ უარს ამბობს მოწმე გამოკითხვაზე ბრალდების მხარეს შეუძლია წაიყვანოს მოსამართლესთან და დაკითხოს. დაცვის მხარეს ეს არ შეუძლია...“ (იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატი, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, 6-წლიანი გამოცდილება, ახალციხე).

ადვოკატების მსგავსად მოსამართლეებმაც აღნიშნეს, რომ სამოქალაქო სამართალში ბალანსი და შეჯიბრებითობა მხარეებს შორის დაცული იყო. საპროცესო კოდექსში შეტანილმა ბოლო ცვლილებებმა ადვოკატებს მიანიჭა უფრო მეტი უფლება და უზრუნველყო გაცილებით

ეფექტური ბალანსი მხარეებს შორის. სისხლის სამართალში ზოგიერთი მოსამართლე თვლიდა, რომ ბალანსი უზრუნველყოფილი იყო; სხვები ვერ ხედავდნენ ეფექტურ ბალანსს ყველა საქმეში იმ ფაქტის გამო, რომ ცვლილები ბოლო დროს შეიტანეს და მხარეებს სჭირდებოდათ დრო საკუთარი უფლებებისა და უფლებამოსილებების გასაცნობიერებლად, ან დაცვის და ბრალდების მხარეებს შორის რესურსების დისბალანსის გამო.

- „ამ მხრივ სამოქალაქო სამართალს ნამდვილად არ უჭირს და პირიქით, ძალიან კარგი, ასე ვთქვათ, მოდელია შემუშავებული პროცესში ამ მიმართულებით..“ (მოსამართლე, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, 10-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)
- „ჩვენი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თანაბარი უფლებებით სარგებლობს პროკურორიც და ადვოკატიც და ეხლა კონკრეტულ შემთხვევებში თუ ვიღაცას რაღაც აქვს, იმას აქვს უფლება გაასაჩივროს ჩვენს ზემდგომ სასამართლოში ოქმი, ელექტრონული ოქმია, ცილს ვერ დაწამებს მოსამართლეს, რომ გადაკეთდა ეს ოქმი...“ (მოსამართლე, სისხლის და ადმინისტრაციული სამართალი, 32-წლიანი გამოცდილება, ახალციხე);
- „სისხლში მოგეხსენებათ, რომ შეჯიბრებითობა შედარებით ახალი ხილია.. ჯერ დახვეწის პერიოდშია ნამდვილად იმიტომ, რო ვერ აცნობიერებენ კიდეც ამ ნაწილში, ამ სფეროში ადამიანები [ადვოკატები], რო მათ შეუძლიათ თავიანთი მტკიცებულებებიც წარმოადგინონ, რომ სასამართლო, ვიტყვი უხეშად, არ არის ნოტარიუსი, ხო დაცვის მხარეს ვგულისხმობ ანუ ჩვენ უნდა დავამსხვრიოთ ის სტერეოტიპი, რო სასამართლო არ არის პროკურატურისთვის ნოტარიუსი და ეს საკანონმდებლო ცვლილებების მთელი ბაზა, რომელიც უკვე მთლიანად შეჯიბრებითობაზეა აგებული, ამას ემსახურება სწორედ და ამას ცოტა პრაქტიკაში გავარჯიშება ჭირდება.“ (მოსამართლე, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, 10-წლიანი გამოცდილება, რუსთავი)
- „აბსოლუტურად თანასწორობა კანონის დონეზე, არც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით არ არის ბუნებრივია დაცული, აბსოლუტურ თანასწორობაზე მაქვს საუბარი... მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ ყველა შემთხვევაში ერთ მხარეს არის სახელმწიფო თავისი ორგანოს სახით, პროკურატურის სახით, რომელსაც აქვს საკმაოდ დიდი ბერკეტები... ამავდროულად თუნდაც თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვით, იმავე უფლებებით, რომ იყოს დაცვის მხარე აღჭურვილი, მას აქვს მაინც უფრო ნაკლები შესაძლებლობა, უფრო ნაკლები რესურსი, თუნდაც ადამიანური რესურსის და სხვა ხასიათის რესურსი... ანუ გარკვეულწილად ეს უფლებები ჩვენი კანონმდებლობით დაბალანსებულია, თუმცა არის გარკვეული უფლებები, იგივე ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებით, ელექტრონული ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებით და ფარულ საგამომძიებო მოქმედებათა დაკავშირებით, რისი უფლებაც დაცვის მხარეს არ აქვს.“ (მოსამართლე, სისხლის სამართალი, 1-წლიანი გამოცდილება, თბილისი).

პროკურორებმა ყველგან დაადასტურეს, რომ სასამართლოში მხარეებს შორის ეფექტური ბალანსი არის და მოსამართლე მხოლოდ არბიტრის როლს ასრულებს. ახალმა საპროცესო კოდექსმა უზრუნველყო, რომ ადვოკატებს უფრო მეტი უფლებები აქვთ და ისინი სრულად გრძნობენ შეჯიბრებითობის არსებობას. „ბრძოლის ველი თანასწორია,“ აღნიშნა პროკურორმა ახალციხიდან. „თითოეული პროკურორი ნერვიულობს პროცესამდე. მხარეები აღარ არიან ინდიფერენტულნი და ყველა დეტალს მნიშვნელობა აქვს,“ აღნიშნა პროკურორმა ბათუმიდან. პროკურორმა რუსთავიდან დაადასტურა ეს მოსაზრება და აღნიშნა, რომ თითოეულ პროკურორს უწევს შრომა და პროცესისთვის მზადება იმისათვის, რომ მოსამართლეს „რეალურად მყარი არგუმენტები“ წარუდგინოს. თბილისში პროკურორები აღნიშნავდნენ ადვოკატების მიერ მათი უფლებების უფრო აქტიურად გამოყენების შესახებ. „ადრე რთული იყო ადვოკატებისთვის მუშაობა, მაგრამ ახლა ისინი უკეთესად იცნობენ საკუთარ უფლებებს,“ განაცხადა პროკურორმა თბილისიდან.

ერთადერთი ნაკლი მხარეთა თანასწორობის თვალსაზრისით, რომელიც რუსთავში ერთმა პროკურორმა აღნიშნა, 136-ე მუხლი იყო, რომლის თანახმადაც დაცვის მხარეს მტკიცებულების შემცველი ვიდეოჩანაწერის მოთხოვნის უფლება არ ჰქონდა. ამგვარად, დაცვის მხარეს უწევდა აღნიშნულის შესახებ თხოვნით პროკურორისთვის მიმართვა, რასაც შეეძლო გარკვეული დისკომფორტისა და უთანასწორობის შეგრძნების შექმნა.

### ***საქმეები, სადაც მხარე საკუთარ თავს თვითონ წარმოადგენს ადვოკატის გარეშე***

ადვოკატები თბილისიდან იხსენებდნენ საკუთარი პრაქტიკიდან იმ შემთხვევებს, როცა მხარეს ადვოკატი არ ჰყავდა და მოსამართლეები მას ადვოკატის აყვანას ურჩევდნენ. მათ ასევე აღნიშნეს, რომ ზოგიერთი მოსამართლე მიკროფონს თიშავდა და მხარეს, რომელიც საკუთარ თავს თვითონ წარმოადგენდა (ადვოკატის გარეშე), გარკვეულ მინიშნებას და განმარტებას აძლევდა. ახალციხეში ადვოკატებს არ აღუნიშნავთ რაიმე სახის განსხვავებული დამოკიდებულება მოსამართლეების მხრიდან ასეთ შემთხვევებში, მხოლოდ უფრო მეტი განმარტება მხარისთვის, რომელსაც ადვოკატი არ ჰყავდა (განმარტებები არასამართლებრივ ენაზე).

- „ურჩევს, რომ ადვოკატი აიყვანე, თორე ამას წააგებ.“ (საია-ს ადვოკატი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, 2-წლიანი გამოცდილება, თბილისი);
- „მიკროფონს თიშავენ და ისე ეუბნებიან ხოლმე.“ (საია-ს ადვოკატი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, 2-წლიანი გამოცდილება, თბილისი);
- „მე მქონია პრაქტიკაში როგორც ადვოკატი არა, როცა ვმუშაობდი სასამართლოში, ყოფილა ერთ მხარეს ყოლია დაცვა და მეორეს არ ყოლია ადვოკატი, მაგრამ ჩვეულებრივად მოსამართლე არანაირ განსხვავებულად არ ექცეოდა ვთქვათ ვისაც ადვოკატი ყავდა და ვისაც არ ყავდა, პირიქით თუ შესაძლებელი იყო კიდევაც, ვთქვათ რო ვერ ერკვეოდა ის მხარე და ანუ არ ესმოდა ის გასაგები სიტყვებით,



*შეძლო მოსამართლეს ერჩია, რომ თუ ვერ შეძლებ შენ დაცვას, შენ წარმოდგენას, შეგიძლია აიყვანო შენი წარმომადგენელი და როგორც ასეთი მიკერძოება ყოფილიყო ასეთი რამე არ არსებობდა.“(კერძო ადვოკატი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, 2-წლიანი გამოცდილება, ახალციხე).*

მოსამართლეები დეტალურად არ ხსნიდნენ ამ საკითხს და ძირითადად ასახელებდნენ ყველა საქმეს, როცა მოქალაქეები უფლებამოსილნი იყვნენ, ჰყოლოდათ სახელმწიფო დამცველი. მათი თქმით, ყოველთვის ერჩიათ, რომ მხარეებს იურისტი წარმომადგენელი ჰყოლოდათ.

პროკურორებმა გაიხსენეს საქმეები თავისი პრაქტიკიდან, როცა სასამართლო პროცესის დროს მოსამართლეები ზედმეტ დროს უთმობდნენ მხარისთვის (რომელსაც ადვოკატი არ წარმოადგენდა) არასამართლებრივ, მარტივ ენაზე მისი უფლებებისა და კონცეფციების ახსნას, ან საქმეები, როცა მოსამართლეები მხარეს ურჩევდნენ, ადვოკატი აეყვანა. მათ თანახმად, კანონში ჩამოთვლილია საქმეები, როცა ადვოკატის დანიშვნა სახაზინო წესით ხდება და ეს ხდება იმ შემთხვევებში, როდესაც ადვოკატი ყველაზე მეტადაა საჭირო. ამგვარად, უთანასწორობას ადგილი არ აქვს. ერთმა პროკურორმა ბათუმიდან კონკრეტული მაგალითი მოიყვანა ექსპერტის დასკვნის შესახებ, რომელიც მხარემ სასამართლოში წარადგინა იმ დროს, როცა ეს ნებადართული უკვე აღარ იყო. დასკვნამ სრულიად შეცვალა შედეგი და სასამართლომ მიიღო ეს დოკუმენტი, რადგან მხარეს არ ჰყავდა ადვოკატი და პროცედურულ ეტაპებს კარგად არ იცნობდა („თუმცა, პროკურორს შეეძლო, რა თქმა უნდა, უარის თქმა“).

### **სასამართლოს დამოკიდებულება უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების მიმართ**

ადვოკატებმა რუსთავიდან, ბათუმიდან და ახალციხიდან ვერ დაინახეს განსხვავება სასამართლოს დამოკიდებულებაში უმცირესობის ან რომელიმე მოწყვლადი ჯგუფის მიმართ. თბილისში ერთმა ადვოკატმა, რომელიც დისკრიმინაციის საქმეებზე მუშაობდა, აღნიშნა, რომ მოსამართლეები უმცირესობათა მიმართ სენსიტიურობით არ გამოირჩეოდნენ. მან მოიყვანა მუსულმანი პირის მაგალითი, როცა მოსამართლემ საქმის განხილვისას დააფიქსირა საკუთარი მართლმადიდებლობა და გამოიყენა ტერმინი „ღმერთმა დაგლოცოს“. დასახელდა კიდევ ერთი მოსამართლის შემთხვევა, როცა მან 17 მაისის საქმე განიხილა და Facebook-ის გვერდზე ჰომოფობიური განცხადებები გამოაქვეყნა. ეს უკანასკნელი შემთხვევა ადვოკატებმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კონტექსტში განიხილეს, რომ მათ უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ მოსამართლეების შეხედულებებს და არა მარტო მათ ცოდნას იურისპრუდენციაში. ამავე დროს, სხვა ადვოკატები თბილისის ფოკუს ჯგუფში არ დაეთანხმნენ მოსაზრებას, რომ მოსამართლეები განსხვავებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ უმცირესობათა მიმართ.

- „ჩემი აზრით, არანაირი განსხვავება არ არის.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატი, საერთო სამართალი, ძირითადად სისხლის სამართალი, 12-წლიანი გამოცდილება, რუსთავი);
- „ქვემო ქართლი ეთნიკურად დასახლებული უმცირესობებით ძალიან მრავლად გვყავს და უამრავი საქმეები შედის ოჯახური ძალადობიდანაც. ჩვენ სადაც ჩართული ვართ პროცესებში ... ისინი იღებენ იმ შედეგს, რა შედეგის მოლოდინიც გვაქვს ზოგადად. სარწმუნოებრივ გართულებას არა აქვს ადგილი სასამართლოში.“ (საია-ს ადვოკატი, სამოქალაქო სამართალი, 9-წლიანი გამოცდილება, რუსთავი);
- „არ არის განსხვავება და სასამართლო მოქმედებს კანონის შესაბამისად, საკმაოდ კარგად. ჩვენი რეგიონი განსაკუთრებულია თქვენი იცით. მაგრამ არ არსებობს ასეთი პრობლემა არც რელიგიური და არც ეთნიკური თვალსაზრისით.“ „განსხვავებები არაა და რაც კანონით გათვალისწინებულია ეგრე იქცევა სასამართლო, ნორმალურად იქცევა.“ (კერძო ადვოკატი, სისხლის სამართალი, 8-წლიანი გამოცდილება, ახალციხე)
- „ის რომ სასამართლოს ქონდეს დისკრიმინაციული მიდგომები ამ ჯგუფების მიმართ, მე ასეთი პრაქტიკაში არ შემინიშნავს.“ (საია-ს ადვოკატი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, 1-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)
- „ამ მხრივ მოსამართლეები საერთოდ არასენსიტიურები არიან, მე ძირითადად თბილისის სასამართლო სასამართლოში მხოლოდ რამდენი საქმე მქონია ამ მიმართებით და შესაბამისად არ შემიძლია შევავსო, მაგრამ რეგიონებში მოსამართლეები არიან ძალიან არასენსიტიურები, განსაკუთრებით რელიგიური და სექსუალური უმცირესობების მიმართ, მაგალითად ერთი სარჩელი გვექონდა მუსლიმი პირის დისკრიმინაციასთან დაკავშირებით და მოსამართლე საუბრობდა, ჩვენ, მართლმადიდებლები, ესე ახსენებდა „ღმერთმა დაგლოცოთ“ და ასეთ ტერმინებს იყენებდა, შესაბამისად მოსამართლის მხარე როდესაც ხარ, მოსამართლის მიუკერძოებლობაში გარკვეული ეჭვები გიჩნდება. ეს არის, ისევ პირველ საკითხს უკავშირდება, როდესაც იუსტიციის საბჭო გასაუბრების ეტაპზე მსგავს საკითხებს საერთოდ არ ამოწმებს, მაგალითად ბოლო შემთხვევა იყო როდესაც ერთერთი მოსამართლე 17 მაისის საქმეს განიხილავდა და მის ფეისბუქ გვერდზე იყო ჰომოფობიური პოსტები და ასე შემდეგ, შესაბამისად იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ არა მხოლოდ პროფესიული გამოცდილება უნდა შეამოწმოს მოსამართლის კანდიდატობის, არამედ მისი შეხედულებები, მისი სენსები უმცირესობების მიმართ, ადამიანის უფლებების მიმართ ზოგადად იმიტომ, რომ მოსამართლეს არ არის ჩვეულებრივი სამართალმცოდნე, რომელმაც რაღაც კანონები უნდა იცოდეს ზეპირად, მას უნდა ქონდეს ადამიანის უფლებების მიმართ რაღაც დამოკიდებულება, როგორც უმაღლესი ფასეულობა,“ (EMC-ის ადვოკატი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, 3-წლიანი გამოცდილება, თბილისი);
- „არც ბათუმის სასამართლოში, სადაც ქობულეთის მედრესეს საქმეს განვიხილავთ, ანუ არსებობს საქმეები სადაც მოსამართლეები ამ რელიგიურ ნეიტრალიტეტს იცავენ, ნუ ამ პერიოდის განმავლობაში მაინც, მაგრამ არსებობს მოსამართლეები და საჯარო

მოხელები, რომლებიც რელიგიურ ნეიტრალიტეტს არღვევენ.“ (EMC-ის ადვოკატი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, 3-წლიანი გამოცდილება, თბილისი);

- „ვერ ვიტყვი ეხლა, რომ საქართველოს სასამართლოებში მოსამართლეები დისკრიმინაციულები არიან და რაღაც ეხლა თუ იელოველი და მართმადიდებელი ერთმანეთს რაღაცას ედავება, რაღაც დისკრიმინაციულად მართლმადიდებლის სასარგებლოდ გადაწყვიტოს საკითხი...“ (კერძო ადვოკატი, სისხლის და ადმინისტრაციული სამართალი, 12-წლიანი გამოცდილება, თბილისი).

მოსამართლეებმა გამოირიცხეს რაიმე ტიპის განსხვავების არსებობა მათ დამოკიდებულებაში უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების მიმართ. ერთმა მოსამართლემ ბათუმიდან გაიხსენა სამი წლის წინანდელი საქმე, როცა ნასვამ მდგომარეობაში მყოფი სამხედრო პოლიციის თანამშრომლები მანქანებს აჩერებდნენ და შიგ მსხდომთაგან ჯვარის ჩვენებას მოითხოვდნენ. სამხედრო პოლიციის თანამშრომლებს ბრალი სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებაში წარედგინათ რელიგიური ასპექტის გათვალისწინების გარეშე. თუმცა, მოსამართლის პირადი აზრი იყო, რომ მსგავსი პრობლემების აღმოსაფხვრელად აუცილებელი იყო ასეთ შემთხვევებზე ხმამაღლა საუბარი.

- „ბუნებრივია ჩემთვის პირადად, როგორც მოსამართლისთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს ეს არის რომელიმე უმცირესობის წარმომადგენელი, ან რომელიმე სხვა მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელი, თუ ჩვეულებრივი მოქალაქე, რომელიც არაფრით არ განსხვავდება სხვა მოქალაქეებისაგან თვისი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, თუ სხვა ნიშნის გამო, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, მე მის საქმეს ვიხილავ იმავე პირობებში რა პირობებშიც განხილული იქნება ჩვეულებრივ, ნებისმიერი იმ ადამიანის საქმე, რომელიც არ მიეკუთვნება ამ კატეგორიას და ასეთ ჯგუფს,“ (მოსამართლე, სისხლის სამართალი, 1-წლიანი გამოცდილება, თბილისი);
- „არ არსებობს ვარიანტი, ჩვენთვის სულ ერთია რა ორიენტაციის წარმომადგენელიც უნდა იყოს, ეთნიკური, პირიქით ზოგჯერ მეჩვენება ხოლმე, რომ ამათ უფრო ფაქიზად ვეპყრობით.“ (მოსამართლე, სისხლის და ადმინისტრაციული სამართალი, 32-წლიანი გამოცდილება, ახალციხე);
- „2013 წელს სამხედრო პოლიციის თანამშრომლების საქმეს რაც შეეხება, ჩვენ ისინი გავასამართლეთ მოგვიანებით, მაგრამ სამწუხაროდ მათ ბრალი ედებოდათ სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებაში. ისინი ნასვამ მდგომარეობაში იყვნენ, აჩერებდნენ გამვლელებს, ამოწმებდნენ მანქანებს და ითხოვდნენ ჯვრების ჩვენებას. წაყენებულ ბრალში არ ყოფილა ნახსენები რელიგიური ასპექტი. სასამართლო არ არის ორგანო, რომელსაც შეუძლია ახალი ბრალის წაყენება ან ბრალდების დამძიმება. მე ვფიქრობ საჯარო დისკუსია არის საჭირო ასეთ შემთხვევებში და ეს საბოლოოდ მიგვიყვანს პრობლემის გადაწყვეტამდე.“ „მახსენდება უბრალოდ, 2013 წელს სამხედრო პოლიციის თანამშრომლები... გავასამართლეთ შემდეგ ჩვენ ეს ბიჭები, მაგრამ სამწუხაროდ ბრალდება სხვა ქონდათ

წარდგენილი ... ძალიან დათვრნენ და აჩერებდნენ ხალხს, გაჩხრიკეს მანქანები, სამხედრო პოლიციამ და აბა მანახეთ ჯვარი ვისაც გიკეთიათო... მაგრამ ამათ წარდგენილი ქონდათ ბრალდება მხოლოდ 333 მუხლი მიმიხვდით, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება. ჩვენ კანონის თანახმად მოგეხსენებათ სასამართლო არა ვართ ის ორგანო, რომელსაც შეუძლია დაამძიმოს ბრალდება, ან ახალი ბრალდება წარუდგინოს.“(მოსამართლე, სისხლის და სამოქალაქო სამართალი, 8-წლიანი გამოცდილება, ბათუმი).

პროკურორებს ერთნაირი პასუხი ჰქონდათ უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების მიმართ დამოკიდებულების შესახებ დასმულ კითხვებზე. მათ აღნიშნეს, რომ არანაირი განსხვავება არ იყო დამოკიდებულებაში სასამართლო პროცესის მიმდინარეობის არცერთ ეტაპზე, საპროცესო გარიგებებში ან სხვ. „ეს იქნებოდა დისკრიმინაცია და არავინ არ დაუშვებს ამას,“ აღნიშნა პროკურორმა ახალციხიდან. „არ ყოფილა არცერთი შემთხვევა, როცა შევნიშნე რაიმე აგრესია ან ცინიზმი ან სხვა დამოკიდებულება მოსამართლის ან ადვოკატის სახეზე. შესაძლოა ისინი უფრო ყურადღებიანი არიან გამოყენებული ტერმინების მიმართ,“ აღნიშნა პროკურორმა თბილისიდან.

### **პროკურატურის დამოკიდებულება უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების მიმართ**

ადვოკატებს რუსთავიდან, ბათუმიდან და ახალციხიდან არ აღუნიშნავთ რაიმე განსხვავება პროკურორების დამოკიდებულებაში უმცირესობების ან სხვა მოწყვლადი ჯგუფების მიმართ. თბილისში ადვოკატები განიხილავდნენ პოლიციასთან და არა პროკურატურასთან დაკავშირებულ შემთხვევებს (რადგანაც, მათი თქმით, ასეთი შემთხვევები ყოველთვის არ ექცევა პროკურორების ყურადღების ქვეშ), ძირითადად ოჯახური ძალადობის ფაქტებს ქალების წინააღმდეგ, როცა პოლიციის ოფიცრებმა არ დაიწყეს გამოძიება ისეთ გარემოებებში, რომლებშიც, ფოკუსს ჯგუფების წევრების აზრით, მათ უნდა დაეწყოთ.

- „*მე მყავდა ტრანსექსუალები. ვიცავდი მათ უფლებებს, ხოდა არ იყო, არ შემიმჩნევია რამე ისეთი დამოკიდებულება, რო ზედმეტი რამე ყოფილიყო ან გინდა თუ არა ელიარებინა ან ამაზე ყოფილიყო ზეწოლა, რაღაც მაგდაგვარი. არც შეურაცხყოფა არ ყოფილა“* (საია-ს ადვოკატი, სამოქალაქო სამართალი, 9-წლიანი გამოცდილება, რუსთავი);
- „*ჩვენთან ესეთი რამე პრაქტიკაში არ ყოფილა.*“ (კერძო ადვოკატი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, 2-წლიანი გამოცდილება, ახალციხე);
- „*უშუალოდ მქონია შემთხვევა, როცა გამოიძახა პატრული, პატრული ისე გვიან მივიდა, რომ უკვე შენგრეული ქონდა ამ მამაკაცს, ხის კარები იყო... პრობლემა იყო ის, რომ გამოძიება დღემდე დაწყებული არ არის... ბავშვს დაეწვა ხელი იმიტომ, რომ სიგარეტის ნაძწვავი მოხვდა და პატარა ორი წლის ბავშვი იყო და ხელი დაუზიანდა, ამ ქალბატონს თავში მოხვდა სკამი თუ რაღაც არ ვიცი და ტვინის შერყევა ქონდა,*



წაიყვანეს საგამოძიებო ორგანოში... შემდგომში ამ ადამიანს დააწერინეს, რომ რადგან დამცავი ორდერი უკვე დამტკიცდა თქვენს სასარგებლოდ, ხომ აღარ გინდათ გამოძიებაო, ამან თქვა, ნუ რა ვიცი ეხლა, ქალი შოკში იყო და კაი აღარ მინდაო და გამოძიება შეწყდა...საქმეს იმცირებენ... სტატისტიკაზეც ზრუნავენ სხვათა შორის...“ (საია-ს ადვოკატი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, 2-წლიანი გამოცდილება, თბილისი);

- „პროკურატურაში მაინც და მაინც რომ გითხრათ, რომ პროკურორამდე ეს არ მიდის, მაგრამ რახან მე ის საჩივარი დაუშვათ, რომ ქალს უთხრა პოლიციელმა და არ აღიძრა ის საქმე და მთელი ამბავი და ესე რო გაილახები აბა რა იქნება, კიდევ კარგად ხარ გადარჩენილიო, ეს რო დაწერა პროკურორ, თქვენ რა გგონიათ პროკურორმა აღძრა საქმე რამე ზომები მიიღო თუ რა, არაფერი რა თქმა უნდა.“ (კერძო ადვოკატი, ყოფილი პროკურორი, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, 34-წლიანი გამოცდილება, თბილისი).

მოსამართლეებმა ასევე გამორიცხეს მსგავსი შემთხვევების არსებობა პროკურატურაში. მათი თქმით, პროკურორები ასეთ რამეს ვერ გაბედავდნენ, რადგან ამას მკაცრი რეაგირება მოჰყვებოდა.

- „ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე არ მახსენდება რამე ისეთი შემთხვევა, რომ განსხვავებული მიდგომა ჰქონოდა პროკურატურასაც ან ბარალდების მხარესაც ამ საკითხთან დაკავშირებით.“ (მოსამართლე, სისხლის სამართალი, 1-წლიანი გამოცდილება, თბილისი);
- „შემიძლია გითხრათ, რომ პროკურატურა გამორიცხული არის, მე არა მგონია უბრალოდ ის ვერ გაბედავს ამას, ამას ძალიან მკვეთრი რეაგირება მოყვება, რომ მან რაღაც ნიშნით, რელიგიური ნიშნით, ან რაღაც სხვა ნიშნით...“ (მოსამართლე, სისხლის და სამოქალაქო სამართალი, 8-წლიანი გამოცდილება, ბათუმი).

სასამართლოების მხრიდან დამოკიდებულების მსგავსად, პროკურორები ოთხივე რეგიონში დაეთანხმნენ მოსაზრებას, რომ პროკურორების მხრიდან უმცირესობათა და მოწყვლადი ჯგუფების მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებას ადგილი არ ჰქონდა. „როცა ვიღებ მოქალაქეს ჩემს ოფისში, მნიშვნელობა არ აქვს, ის ქალია თუ მამაკაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ქართველი თუ არაქართველი,“ განაცხადა პროკურორმა რუსთავიდან. პროკურორმა თბილისიდან დასძინა, რომ „სასამართლო პროცესზე პროკურორები წარმოადგენენ სახელმწიფოს. ისინი ცივი გონებით მოქმედებენ.“

**იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) დამოკიდებულება უმცირესობების და მოწყვლადი ჯგუფების მიმართ**

თბილისში, რუსთავში, ბათუმსა და ახალციხეში ადვოკატებმა ვერ შეძლეს ინფორმაციის მოწოდება უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების მიმართ იურიდიული დახმარების

სამსახურის მხრიდან რაიმე განსხვავებული სახის დამოკიდებულების შესახებ. აღნიშნულის მსგავსად, ადვოკატების მხრიდან განსხვავებული დამოკიდებულება არ აღნიშნა რუსთავში.

- „არა, არა, არა, გამორიცხული ამბავია დისკრიმინაცია, პირიქით, პირიქით, ორიენტირებულია ეს სამსახური პირდაპირი რო აი ასეთი მოწყვლადი ჯგუფები დაიცვას და მაქსიმალურად მათ უფლებებზე იყოს ორიენტირებული.“ (კერძო ადვოკატი, სისხლის და ადმინისტრაციული სამართალი, 12-წლიანი გამოცდილება, თბილისი);
- „არ აქვს ადგილი განსხვავებულ დამოკიდებულებას მოპყრობის თვალსაზრისით ქართველების და სხვა რელიგიის წარმომადგენლების მაგ. მუსულმანების მიმართ (იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატი, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, 6-წლიანი გამოცდილება, ახალციხე).

ადვოკატებისა და პროკურორების მსგავსად, მოსამართლეებსაც არ აღუნიშნავთ იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების მხრიდან განსხვავებული დამოკიდებულების მაგალითი.

- „არა, კატეგორიულად არა, იმდენად რამდენადაც საკმაოდ მომზადებული კადრი ყავს ამ სამსახურს... ასე რომ მსგავსი არ შემიმჩნევია ნამდვილად.“ (მოსამართლე, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, 10-წლიანი გამოცდილება, რუსთავი).

პროკურორებმა ხაზი გაუსვეს იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების პროფესიონალიზმს და გამორიცხეს განსხვავებული დამოკიდებულების რაიმე მაგალითი მათი მხრიდან ეთნიკური, რელიგიური ან რაიმე სხვა ნიშნით. „ისინი ოპონენტები არიან, მაგრამ ძალიან კარგი ოპონენტები,“ აღნიშნა პროკურორმა თბილისიდან. კიდევ ერთმა პროკურორმა თბილისიდან აღნიშნა, რომ იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატს რაიმე რომ გაეკეთებინა თავისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის საწინააღმდეგოდ, ეს იქნებოდა ამ ადვოკატის აცილების საფუძველი იმისათვის, რომ მსგავსი ფაქტი აღარ განმეორებულყო.

### **იურიდიული განათლება - საუნივერსიტეტო და განგრძობადი განათლება**

თბილისში ფოკუსს ჯგუფების მონაწილე ადვოკატებმა ისაუბრეს უფრო მეტი პრაქტიკული უნარების საჭიროების შესახებ სტუდენტებს შორის (განსაკუთრებით ოფიციალური ან აკადემიური წერითი უნარების საჭიროებასთან დაკავშირებით; ასევე, ზოგადი განათლების, მაგალითად, ელემენტარული მათემატიკის თაობაზე). პრაქტიკული გამოცდილების არქონა პრობლემად დასახელდა ბათუმშიც. ფოკუსს ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილე ახალი კურსდამთავრებული იყო და დაადასტურა, რომ უნივერსიტეტში პრაქტიკულს საგნებთან ნაკლებად ჰქონდა შეხება. თბილისში ადვოკატების ნაწილმა აღნიშნა საინტერესო

გამოცდილება სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან დაკავშირებით და შეაქო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები. გაუმჯობესების კონტექსტში ერთმა მონაწილემ აღნიშნა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის ნაკლი, რომელიც სტაჟიორ ადვოკატს უკრძალავს სასამართლოში ადვოკატის სახით წარდგენას, სტაჟიორი პროკურორებისგან განსხვავებით.

ადვოკატებმა რუსთავიდან აღნიშნეს, რომ სასამართლოს მუშაკების, პროკურორებისა და ადვოკატების პროფესიონალიზმის დონე საკმაოდ კარგი იყო. რაც შეეხება უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს, მათ ჰქონდათ თეორიული ცოდნა და შესაძლებლობები, რომ პრაქტიკული გამოცდილება შეეძინათ სტაჟირების ან სასაწავლო სასამართლო პროცესების საშუალებით. ამგვარად, ადვოკატების ახალგაზრდა თაობა უკეთესი იქნება. რაც შეეხება იურიდიული განათლების დონის ამაღლებას, რუსთაველი ადვოკატების თანახმად, უნივერსიტეტმა უნდა სცადოს, სტუდენტებს მისცეს ის, რასაც ისინი უნივერსიტეტის გარეთ ეძებენ.

ახალციხეში ადვოკატებმა აღნიშნეს, რომ მას, ვისაც განათლების მიღება სურს, ამას მოახერხებს. უნივერსიტეტები უფრო მეტ თეორიულ განათლებას იძლევიან, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს პრაქტიკის, სამუშაო გამოცდილების გარეშე.

- „ჩემთან მოდიან ხოლმე სტაჟიორები და გასაუბრებას ერთერთი გოგონა იყო, დიპლომირებული .... თურმე წილადები არ იცის...ზოგადი განათლებაც ძალიან დაბალია საზოგადოებაში, ადვოკატებში პირდაპირ რო ვთქვათ... რამოდენიმე უმაღლესი სასწავლებლის გარდა სხვები ფაქტიურად ცოდნას ვერ იძლევა აბსოლუტურად.“ (კერძო ადვოკატი, ყოფილი პროკურორი, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, 34 -წლიანი გამოცდილება, თბილისი);
- „პედაგოგიური მოღვაწეობის თითქმის 25 წლიანი გამოცდებმა მაქვს, ვასწავლი სულ სხვადასხვა უნივერსიტეტებში... ყველაზე მარტივი მაგალითი, ფორმალურ წერას რასაც ვეძახი, აკადემიურ წერას უნივერსიტეტებში ან თითქმის არა აქვთ, ან აქვთ ძალზე მინიმალური და შემოდია სრული სერიოზულობით ვთქვა, რომ კაზუსის ამოხსნა ყველამ იცით რა არის, კაზუსის ამოხსნის დროს წერა კითხვის დონეზე ვწვალობთ... დიდი ყურადღება უნდა ექცეოდეს გარდა თეორიულია პრაქტიკულ უნარ ჩვევებს.“ (კერძო ადვოკატი, ლექტორი, მუშაობდა სასამართლოში, პროკურატურაში, კერძო და ადმინისტრაციული სამართალი, 30-წლიანი გამოცდილება, თბილისი);
- „შიდა საუნივერსიტეტო განათლების დონეს რაც შეეხება, ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, ნაკლებად არის შეხება ნამდვილ, პრაქტიკულ საგნებთან, უფრო თეორიულია, კადრების უკმარისობაა ამ შემთხვევაში...“ (კერძო ადვოკატი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, 2 -წლიანი გამოცდილება, ბათუმი);
- „იურიდიული კლინიკები კი არის ეხლა უნივერსიტეტებში, ეს ავტორიზაციის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია, მაგრამ არ არის იმ სიძლიერის, რომ მზა

პროდუქტი ადვოკატის სახით, რომელიც ჩამოაყალიბებს ელემენტარულ შუამდგომლობას მოგვეცეს.“ (კერძო ადვოკატი, ლექტორი, მუშაობდა სასამართლოში, პროკურატურაში, კერძო და ადმინისტრაციული სამართალი, 30-წლიანი გამოცდილება, თბილისი);

- „ძველი საპროცესო კოდექსი სტაჟიორ ადვოკატს აძლევდა საშუალებას, რომ დასაცავი პირის თანხმობით მიეღო მონაწილეობა პროცესში... ახალი პროცესით, სამწუხაროდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, ეს აღარ არის, ეხლა, დღეის მდგომარეობით სტაჟიორ ადვოკატს აღარ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს პროცესში და აი, ეს არის კანონმდებლობის სერიოზული ხარვეზი და ძალიან კარგი იქნება თუ ეს ხარვეზი გამოსწორდება...“ (კერძო ადვოკატი, სისხლის და ადმინისტრაციული სამართალი, 12-წლიანი გამოცდილება, თბილისი);
- „ზოგადად რაც მესმის და რაც, როგორი კონტიგენტიც მოდის, ხო, მომზადებული ბავშვები არიან. სად როგორ მიიღეს და რა მიიღეს, ალბათ სასწავლებლებში მიიღეს... ახალი კონტიგენტებიც რო მოდიან, ჩვენთან [LAS] სტაჟიორები მოდიან, სტაჟორ - პროკურორები, რო მოდიან ეტყობათ ეხლა ნასწავლი, განათლება აქვთ,“ (იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატი, საერთო სამართალი, ძირითადად სისხლის სამართალი, 12-წლიანი გამოცდილება, რუსთავი);
- „არავინ იღებს პრაქტიკულ გამოცდილებას უნივერსიტეტში, მხოლოდ სტაჟირების დროს არის ეს შესაძლებელი. სტუდენტებს აქვთ დიდი ინფორმაცია და შესაძლებლობები გამოცდილების შესაძენად - ჩვენ გვყავს სტაჟიორები საია-ში, იურიდიული დახმარების სამსახურში [LAS]. ასპარეზი დიდია. ჩემი აზრით, უკეთესი თაობა მოდის.“ „უნივერსიტეტში პრაქტიკულ გამოცდილებას ვერავინ ვერ იღებს. მხოლოდ სტაჟირების დონეზე... უბრალოდ ინფორმაცია ააქვთ ძალიან ბევრი, შესაძლებლობა მათ მიიღონ ეს რაღაცა გამოცდილება. მაგალითად, ჩვენ ყოველ ექვს თვეში ვანახლებთ სტაჟიორებს... ეს სისტემა, სადაც მათ შეიძლება გამოიყენონ თავიანთი თეორიული ცოდნა, ძალიან კარგია. მრავლად არის, ფართოა ასპარეზი.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატი, საერთო სამართალი, ძირითადად სისხლის სამართალი, 12-წლიანი გამოცდილება, რუსთავი);
- „მე ვფიქრობ, მაშინ თვითონ სასწავლებელმა უნდა იზრუნოს. ის რასაც სტუდენტი გარეთ, უნივერსიტეტის გარეთ ეძებს და სხვა წყაროებიდან იღებს... პრაქტიკა, თეორიასთან ერთად პრაქტიკაც.“ (კერძო ადვოკატი, საერთო სამართალი, ძირითადად სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, 17-წლიანი გამოცდილება, რუსთავი);
- „ძირითადად ეხლა ვინც მოწადინებულია ის სწავლობს.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატი, სისხლის სამართალი, 2-თვიანი გამოცდილება, ახალციხე);
- „მე რო მკითხოთ დღევანდელი დამთავრება არაფერს არ ნიშნავს... თუ პრაქტიკაში არ იმუშავე.“ (კერძო ადვოკატი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი გამომძიებელი, სისხლის სამართალი, 27-წლიანი გამოცდილება, ახალციხე);

- „ჩემი აზრით, განათლება ასე თუ ისე თეორიული თვალსაზრისით უმაღლესი იძლევა...“ (კერძო ადვოკატი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, 2-წლიანი გამოცდილება, ახალციხე).

თბილისის ფოკუს ჯგუფის მონაწილეების უმრავლესობას მოეწონა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ტრენინგები, თემები და ტრენერებიც. თუმცა, ახალგაზრდა მონაწილეებმა ჩათვალეს, რომ ტრენინგები მეორდებოდა და აღნიშნეს, რომ ის დისკრიმინაციის საკითხებს არ ეხებოდა. ზოგადად, ადვოკატებს რუსთავიდან ასევე მოეწონათ ტრენინგები, თემები და ტრენერები; თუმცა, ზოგმა აღნიშნა, რომ ტრენინგები ხანმოკლე იყო და თემასთან დაკავშირებით ინფორმაციას სრულად არ გადმოსცემდა. ადვოკატებმა რუსთავიდან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის გარდა დასახელეს სასამართლოები: უზენაესი სასამართლო, სააპელაციო სასამართლო, როგორც სასამართლო პრაქტიკის შესახებ ადვოკატების ტრენინგების მომწოდებლები და სასამართლოს გადაწყვეტილებები სხვადასხვა საკითხების შესახებ. ახალციხეში ადვოკატები უკმაყოფილონი იყვნენ, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ტრენინგები ჩატარდა თბილისში და სამსაათიანი გზა და სხვა ლოგისტიკური პრობლემები ართულებდა მათთვის დასწრებას.

- „მე რამდენიმე წელია სტაბილურად, რა თქმა უნდა, გავდივარ ტრენინგებს ასოციაციაში და ყველა ტრენინგი არის ძალიან თემატური და კარგი მომზადებული ჩემდა გასაკვირად სხვათა შორის... ყველა ტრენინგი არის როგორც ლექტორია თუ ტრენერი, მისი კვალიფიკაციაც თემატიკაც ძალიან კარგად შერჩეულია...“ (კერძო ადვოკატი, ყოფილი პროკურორი, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, 34-წლიანი გამოცდილება, თბილისი);
- „დისკრიმინაციაზე არაფერი არ არის... ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ მეორდება გარკვეული თემატიკა, მაგალითად ყოველ წელს ერთი და იგივეა.“ (საია-ს ადვოკატი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, 2-წლიანი გამოცდილება, თბილისი);
- „სისტემატიურად ვმონაწილეობთ ტრენინგებზე... მე ვერ ვიტყვი, რო უკმაყოფილო ვარ.“ (კერძო ადვოკატი, საერთო სამართალი, 26-წლიანი გამოცდილება, რუსთავი);
- „ჩვენ ადვოკატები ადვოკატთა ასოციაციაში ვართ გაერთიანებულები და გვიტარდება გარკვეულ წილად ტრენინგები თითქოს ცნობიერების ამაღლების კუთხით, მაგრამ ეს არ არის ეფექტური. იმიტომ, რომ ძალიან ხანმოკლეა და თემატურადაც ვერ ამოწურავს ის ორ საათიანი შეხვედრას... ხო, აი თემებს ჩვენ ვირჩევთ, სხვათა შორის. თემების არჩევანი ჩვენიდან გამომდინარეა, თუმცა, მაგალითად, ისეთი სრულყოფილი არასოდეს არ წამოვსულვარ, რა მოტივითაც წავსულვარ ტრენინგზე.“ (საია-ს ადვოკატი, სამოქალაქო სამართალი, 9-წლიანი გამოცდილება, რუსთავი);
- „ძალიან კარგი იქნება. იგივე უზენაესმა, სააპელაციომ, რო გააკეთოს ადვოკატებისთვის სასამართლო პრაქტიკის შესახებ. ეს მიღებული გადაწყვეტილებები, ხო, მე ვფიქრობ, რო კარგი იქნება ამა თუ იმ საკითხთან



მიმართებაში.“ (კერძო ადვოკატი, საერთო სამართალი, 26-წლიანი გამოცდილება, რუსთავი);

- „ძირითადად ეს ტრენინგები ტარდება თბილისში. ასოციაციას აქვს სასწავლო ცენტრი და იქვე ატარებენ, ეხლა რეგიონებს ძალიან არ მიგვიწვდება ხოლმე ხელი. რო ვთქვათ. იქ ჩავიდეთ, რაღაცა ჩვენ საქმეები გვაქვს აქ, აქ საქმეებს ვაწარმოებთ, დრო არა გვაქვს იმისი იმიტომ, რომ მოშორებულია სადღაც სამი საათი გვიწევს აქედან მგზავრობა, მერე იქიდან კიდევ სამი საათი... შეიძლება ხო, რო აქაც ჩატარდეს? ... აქაც შეიძლება ამის მობილიზაცია გამოცხადდეს და ჩატარდეს, თუ ვინმეს უნდა რო დაესწროს.“ (იურიდიული დახმარების სამსახურის (LAS) ადვოკატი, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, 6-წლიანი გამოცდილება, ახალციხე).

მოსამართლეების მიერ იურისტების განათლების დონის შეფასება საქართველოში ერთგვაროვანი არ იყო. ზოგმა ისაუბრა კვალიფიკაციის ნაკლებობაზე როგორც ადვოკატებს, ისე პროკურორებს შორის: „პროკურატურაზე ვითხარით, ისინი რამდენიმე ნაბიჯით წინ არიან, თუ შევფასებთ 5-ბალიანი შკალით, პროკურორებს შეგვიძლია სამი დავუწეროთ, ან ოთხამდე შეიძლება ავიდეთ, ნუ, ნაწილი კარგი არის და ნაწილი საშუალო დონის არის, ადვოკატები შემძლია, შეგიფასოთ, მათი ძირითადი ნაწილი მხოლოდ ერთით, ესე რო ვთქვათ.“ (მოსამართლე, სისხლის და სამოქალაქო სამართალი, 8-წლიანი გამოცდილება, ბათუმი)

ამავე დროს, მოსამართლეებმა საკმაოდ დადებითი დამოკიდებულება გამოხატეს სტუდენტების ახალი თაობის მიმართ, რომლებსაც სტაჟირების დროს შეხვდნენ სასამართლოში, მაგრამ იფიქრეს, რომ ეს უფრო ფიზიკურ პირებზე იყო დამოკიდებული; თუმცა, გარკვეული უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებმა (კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან) უფრო მეტად გამოიჩინეს თავი. გაუმჯობესებასთან დაკავშირებული რჩევები საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის უფრო მაღალი სტანდარტების დადგენას მოიცავდა, ასევე უფრო მეტი ხელშეკრულების გაფორმებას სახელმწიფო დაწესებულებებთან სტუდენტებისთვის სტაჟირების უზრუნველყოფის მიზნით.

- „ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, რა თქმა უნდა 100 პროცენტით ამის თქმა შეუძლებელია, მაგრამ პროცენტული თვალსაზრისით გაცილებით უფრო მომზადებულები არიან, ვიდრე ვთქვათ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულები... მნიშვნელოვან წილად არის დამოკიდებული და დამოკიდებულია ბუნებრივად იმაზე, თითონ პიროვნების ინდივიდუალური, ასე ვთქვათ, მოთხოვნებიდან და დამოკიდებულებებიდან გამომდინარე რამდენად აქვს ადამიანს, ასე ვთქვათ, მოთხოვნილებაც და პასუხისმგებლობაც, რომ როდესაც სწავლობს უნივერსიტეტში ეს არ იყოს მხოლოდ ფორმალურად სწავლა და რეალურად მიიღოს იურიდიული განათლება.“ (მოსამართლე, სისხლის სამართალი, 1-წლიანი გამოცდილება, თბილისი;

- „საკმაოდ მომზადებული ახალგაზრდები მოდიან, სტაჟიორები გვყავს ჩვენ.“ (მოსამართლე, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, 10-წლიანი გამოცდილება, რუსთავი);
- „რადაც უფრო მაღალი სტანდარტი უნდა შეიმუშაოს განათლების სისტემამ ამისათვის.“ (მოსამართლე, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი, 10-წლიანი გამოცდილება, რუსთავი);
- „უნივერსიტეტის უნდა ქონდეს დადებული ხელშეკრულებები სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებთან, სადაც სავალდებულოდ უნდა ხდებოდეს არა მხოლოდ 4-ე კურსზე ან 3-ე კურსზე მათი რაღაც ერთი თვით გაშვება...“ (მოსამართლე, სისხლის და სამოქალაქო სამართალი, 8-წლიანი გამოცდილება, ბათუმი);
- „მეტი პრაქტიკული მეცადინეობა იყოს და გაიარონ თუნდაც თბილისის სასამართლოში, ან პროკურატურაში, მეტი უნდა დაინერგოს, მე ასე ვიცი და მწამს, რომ უფრო ჩამოყალიბებულები შეეგებებიან უშუალოდ სამუშაოს როცა დაიწყებენ. (მოსამართლე, სისხლის და ადმინისტრაციული სამართალი, 32-წლიანი გამოცდილება, ახალციხე).

განგრძობადი იურიდიული განათლების თვალსაზრისით მოსამართლეები კმაყოფილნი იყვნენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებული ტრენინგებით და მარტივი ელექტრონული სისტემით, რომელიც იმ ტრენინგზე დარეგისტრირების საშუალებას იძლეოდა, რომლითაც ისინი ყველაზე მეტად იყვნენ დაინტერესებულნი. თემები მათი სურვილის საფუძველზე იყო შერჩეული; ტრენინგები კარგად იყვნენ მომზადებულნი და მაღალი კვალიფიკაციაც ჰქონდათ.

- „ჩემთვის როგორც მოსამართლისათვის ამის შესაძლებლობას საქართველოს უმაღლესი სკოლის მიერ შეიძლება ითქვას, რომ უზრუნველყოფილია აბსოლუტურად იმიტომ, რომ საკმაოდ ინტენსიურად ტარდება ეს ტრენინგები, ტარდება არა ერთ სფეროში, როგორც შიდა კანონმდებლობასთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებზე, ასევე საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით და არა მხოლოდ სამართლებრივ საკითხებთან მიმართებით შეიძლება ეს უკავშირდებოდეს მაგალითად მოსამართლის ქცევასთან დაკავშირებულ საერთაშორისო სტანდარტებს...“ (მოსამართლე, სისხლის სამართალი, 1-წლიანი გამოცდილება, თბილისი);
- „არ არსებობს კვირა, რომ ტრენინგები არ იყოს სხვადასხვა საკითხებზე... ყველა მოსამართლე ვართ ელექტრონულად რეგისტრირებულნი...“ (მოსამართლე, სისხლის და სამოქალაქო სამართალი, 8-წლიანი გამოცდილება, ბათუმი);
- „ტრენინგს რო ვამთავრებთ იქ ანონიმური ის გვირიგდება, როგორ მოგვეწონა, შეფასების ისა და ბოლოს არის რამდენიმე გრაფა რომელ იმაზე ისურვებდით კიდევ და ვწერთ.“ (მოსამართლე, სისხლის და ადმინისტრაციული სამართალი, 32-წლიანი გამოცდილება, ახალციხე).

პროკურორებმა ისაუბრეს იურისტების განათლების დონის ამაღლების შესახებ. მათ განიხილეს პროკურატურაში სტაჟირების შესაძლებლობის რამდენიმე ტიპი: ერთწლიანი სტაჟირება, რომელიც საკმაოდ კარგ პრაქტიკულ გამოცდილებას იძლევა და რომლის წარმატებული დასრულებაც პროკურორად გახდომის გზას წარმოადგენდა; სტუდენტებისთვის განკუთვნილმა პროგრამამ „ერთი დღე პროკურატურაში“ სტუდენტებს რეალური წარმოდგენა შეუქმნა, თუ როგორია პროკურორის სამუშაო. მათ ისაუბრეს პროკურორების შერჩევის რთულ პროცედურებზე, რომელიც ემყარებოდა არა მარტო კანონმდებლობის ცოდნას, არამედ პიროვნულ თვისებებსაც. პროკურორმა ახალციხიდან აღნიშნა, რომ თბილისში უფრო მეტი შესაძლებლობები იყო, მაგრამ ხაზი გაუსვა მონაწილეების მუშაობას და მოტივაციას. პროკურორმა რუსთავიდან ისაუბრა უნივერსიტეტებში უფრო მეტი კლინიკის არსებობის საჭიროების შესახებ, პროკურატურის, პოლიციის და მართლმსაჯულების სხვა დაწესებულებების კლინიკების სახით. რამდენიმე პროკურორმა ხაზი გაუსვა სკოლებში ვიზიტების მნიშვნელობას მოზარდებთან დანაშაულის და მართლმსაჯულების საკითხებზე საუბრის თვალსაზრისით.